

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ზაზა მაკარიძე

აპოლიპოპროტეინ B/აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობის კავშირი
ინსულინრეზისტენტობასთან, მეტაბოლურ სინდრომსა და მის
კომპონენტებთან, საერთო ქოლესტერინსა და დაბალი სიმკვრივის
ლიპოპროტეინთან საქართველოს პოპულაციაში

დისერტაცია

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მედიცინაში

2015 წ.



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია

შპს “ენდოკრინოლოგიის ეროვნულ ინსტიტუტში”

სამეცნიერო ხელმძღვანელი – მედიცინის დოქტორი
ქეთევან ასათიანი

თბილისი 2015 წელი

სარჩევი

პირობითი აღნიშვნები და შემოკლებები -----	7
შესავალი -----	9
1. კვლევის ამოცანები -----	9
2. ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება -----	10
3. პუბლიკაციები -----	11
4. დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა -----	12
თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა -----	13
1.1 ინსულინრეზისტენტობის განმარტება და მისი არსი -----	13
1.1.1. განმარტება -----	13
1.1.2 ეტიოლოგია -----	13
1.1.3 ეპიდემიოლოგია -----	16
1.1.4 პათოფიზიოლოგია -----	16
1.2 ინსულინის სეკრეცია -----	25
1.2.1 ბეტა უჯრედების ფუნქციის რაოდენობრივი განსაზღვრა -----	25
1.2.2 ინსულინის სეკრეციის ტემპორალური მოდელი -----	26
1.2.3 ინსულინის სეკრეცია სიმსუქნის და ინსულინრეზისტენტობის დროს--	26
1.3 ინსულინრეზისტენტობის განსაზღვრა -----	29
1.3.1 ინსულინის კონცენტრაციის გაზომვა -----	29
1.3.2 უზმოდ გლუკოზა/ინსულინის თანაფარდობა (გ/ი თანაფარდობა) -----	30
1.3.3 გლუკოზის უწყვეტი ინფუზიის მოდელური შეფასება (გუიმშ) -----	31
1.3.4 ორალური გლუკოზოტოლერანტული ტესტი (ოგტტ) -----	32
1.3.5 ინსულინის ტოლერანტობის ტესტი (იტტ) -----	33
1.3.6 ეუგლიკემიური ჰიპერინსულინემიური კლემპი (ეჰკ) -----	34
1.3.7 ინტრავენური გლუკოზოტოლერანტული ტესტი ხშირი ნიმუშებით / მინიმალური მოდელი (იგტტხნ/მმ) -----	36
1.3.8 McAuley-ს ინსულინსენსიტიურობის ინდექსი (ისი) -----	38
1.3.9 QUICKI (ინსულინსენსიტიურობის რაოდენობრივი განსაზღვრის	

ინდექსი - ინსსრგი) -----	38
1.3.10 HOMA-IR (ჰომეოსტაზის განსაზღვრის მოდელი – ინსრ) -----	39
1.3.11 Bennett-ის ინდექსი -----	43
1.3.12 ადიპონექტინ-რეზისტინის ინდექსი (არ-ინდექსი) -----	43
1.4 მეტაბოლური სინდრომი -----	45
1.4.1 განსაზღვრება -----	45
1.4.2 სისშირე -----	49
1.5 მეტაბოლური სინდრომის და ინსულინრეზისტენტობის მკურნალობა -----	51
1.5.1 ცხოვრების წესის მოწესრიგება -----	51
1.5.2 დიეტა -----	51
1.5.3 ვარჯიში -----	52
1.5.4 ორალური ჰიპოგლიკემიური პრეპარატები -----	53
1.5.5 კარდიოვასკულური რისკის შემცირება -----	54
1.5.6 ახალი ტექნოლოგიები -----	55
1.6 ინსულინრეზისტენტობა და მეტაბოლური სინდრომი როგორც სოციალურ-ეკონომიური პრობლემა -----	57
1.7 აპოB და აპოA-I-ს ფიზიოლოგიური და პათოფიზიოლოგიური ასპექტები და კარდიოვასკულური რისკი -----	59
1.7.1 აპოB-ს პროდუქცია, ცირკულაცია და განაწილება -----	59
1.7.2 აპოB-ს პლაზმური დონე და თერაპიის სამიზნე ციფრები -----	62
1.7.3 აპოB და კარდიოვასკულური რისკი -----	62
1.7.4 აპოA-I-ს ფიზიოლოგიური და პათოფიზიოლოგიური ასპექტები -----	62
1.7.5 აპოA-I-ს პლაზმური დონე და თერაპიის სამიზნე ციფრები -----	63
1.7.6 აპოA-I და კარდიოვასკულური რისკი -----	63

1.8 აპოB, აპოA-I, აპოB / აპოA-I თანაფარდობის გამოყენება ტრადიციული ლიპიდების საპირისპიროდ: მეთოდოლოგიური დადებითი და უარყოფითი მხარეები -----	65
1.8.1 მეთოდოლოგიური პრობლემები -----	65
1.8.2 აპოლიპოპროტეინების განსაზღვრის მეთოდოლოგიური უპირატესობები -----	66
1.8.3 აპოB/აპოA-I თანაფარდობა ვასკულურ დაავადებებთან, მეტაბოლურ სინდრომთან და შაქრიან დიაბეტთან მიმართებაში -----	66
თავი 2. გამოკვლევის მასალა და მეთოდები -----	70
2.1 მონაწილე სუბიექტები -----	70
2.2 ანტროპომეტრიული და ლაბორატორიული მონაცემები -----	70
2.3 მეტაბოლური სინდრომის განმარტება -----	72
2.4 არტერიული ჰიპერტენზიის განმარტება -----	72
2.5 დისლიპიდემიის განმარტება -----	72
თავი 3. გამოკვლევები -----	
3.1 აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობის კავშირი მეტაბოლურ სინდრომსა და მის კომპონენტებთან, საერთო ქოლესტერინის და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის დონესთან საქართველოს მოსახლეობაში -----	73
3.1.1 სტატისტიკური ანალიზი -----	73
3.1.2 შედეგები -----	74

3.2 აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობის, მეტაბოლური სინდრომის კომპონენტების, საერთო ქოლესტერინის და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის კავშირი ინსულინ რეზისტენტობასთან საქართველოს პოპულაციაში -----	84
3.2.1 სტატისტიკური ანალიზი -----	84
3.2.2 შედეგები -----	86
3.3 აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობის ოპტიმალური ზღვრული მაჩვენებელი მეტაბოლური სინდრომის და ინსულინ-რეზისტენტობის დიაგნოსტიკებისთვის საქართველოს პოპულაციაში -----	95
3.3.1 სტატისტიკური ანალიზი -----	95
3.3.2 შედეგები -----	95
თავი 4. გამოკვლევის შედეგების განხილვა -----	105
თავი 5. დასკვნები -----	108
თავი 6. რეკომენდაციები -----	109
თავი 7. ბიბლიოგრაფია -----	110

პირობითი აღნიშვნები და შემოკლებები:

- აპოB – აპოლიპოპროტეინი B
- აპოA-I – აპოლიპოპროტეინი A-I
- აპოB/აპოA-I თანაფარდობა – აპოლიპოპროტეინი B / აპოლიპოპროტეინი A-I თანაფარდობა
- სქ – საერთო ქოლესტერინი
- მსლ – მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი
- ტრიგ – ტრიგლიცერიდი
- დსლ - დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი
- ინსრ – ინსულინრეზისტენტობა
- ინსს – ინსულინსენსიტიურობა
- მეტს – მეტაბოლური სინდრომი
- HOMA-IR – ჰომეოსტაზის განსაზღვრის მოდელი – ინსრ
- სწ – სისხლის სისტოლური წნევა
- დწ – სისხლის დიასტოლური წნევა
- სმი – სხეული მასის ინდექსი
- წგ – წელის გარშემოწერილობა
- უგ – უზმოდ გლუკოზა
- უი – უზმოდ ინსულინი
- აჰ – არტერიული ჰიპერტენზია
- ქნსპ მმპ-III – ქოლესტერინის ნაციონალური საგანმანათლებლო პროგრამა მოზრდილთა მკურნალობის პანელი-III
- JNC-8 – “სისხლის მაღალი წნევის პრევენციის, გამოვლენის, შეფასებისა და მკურნალობის გაერთიანებული ეროვნული კომიტეტის” მერვე ანგარიში – (გეკ 8)
- OR – ალბათობის კოეფიციენტი (შანსი)
- CI – სარწმუნოების ინტერვალი
- p – სარწმუნოების მაჩვენებელი
- S.E. – სტანდარტული შეცდომა
- B – რეგრესიის კოეფიციენტი

- Wald – ვალდის სტატისტიკა
- R^2 – მრავლობითი კორელაცია კვადრატში (რეგრესიული ანალიზისას)
- წ/ბ თანაფარდობა – წელისა და ბარძაყის გარშემოწერილობების თანაფარდობა
- ROC curve – რესივერული ოპერატორის მახასიათებლების მრუდი
- AUC – მრუდის ქვეშ არსებული არეები

შესავალი

კვლევის ამოცანები

ინსულინრეზისტენტობა (ინსრ) წარმოადგენს მეტაბოლურ დაავადებას, რომელიც დამოუკიდებლად უკავშირდება კარდიოვასკულურ პათოლოგიებს (1-3). ინსრ დაკავშირებულია ასაკის მატებასთან და მთელ რიგ მნიშვნელოვან კარდიომეტაბოლურ რისკ-ფაქტორებთან (დისლიპიდემია, არტერიული ჰიპერტენზია, ჰიპერგლიკემია, სიმსუქნე) და ითვლება, რომ იგი საფუძვლად უდევს ზემოთხამოთვლილი ყველა მდგომარეობის პათოფიზიოლოგიურ მექანიზმს (4-8).

კვლევები მიუთითებენ რომ აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობა (აპოB/აპოA-I თანაფარდობა) წარმოადგენს მეტაბოლური სინდრომის (მეტს-ის) და ინსულინრეზისტენტობის დამოუკიდებელ რისკ-ფაქტორს. საქართველოში ამ თემაზე კვლევების მონაცემები არ არსებობს. ჩვენი კვლევის მიზანი იყო:

- შეგვეფასებინა კავშირი ინსულინრეზისტენტობასა და აპოB/აპო A-I თანაფარდობასთან, მეტაბოლური სინდრომის კომპონენტებთან, საერთო ქოლესტერინის და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის დონესთან საქართველოს მოსახლეობაში.
- აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობის კავშირის გამოვლენა მეტაბოლურ სინდრომსა და მის კომპონენტებთან, საერთო ქოლესტერინის და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის დონესთან საქართველოს მოსახლეობაში.
- შეგვეფასებინა ამ ასოციაციების დამოუკიდებლობა სხვა ფაქტორებისგან.
- აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობის ოპტიმალური ზღვრული მაჩვენებლის დადგენა მეტაბოლური სინდრომის და ინსულინრეზისტენტობის გამოვლენის თსვალსაზრისით საქართველოს მოსახლეობაში.

ნაწრომის პრაქტიკული ღირებულება

მეტს-ის გაგრძელება საქართველოში შეადგენს 23.16%-ს (9). პაციენტებს მეტს-ით სამჯერ უფრო მეტი აქვთ მიოკარდიუმის ინფარქტის ან ინსულტის განვითარების რისკი და ორჯერ უფრო მეტია სიკვდილის რისკი ამ დაავადებებისგან ვიდრე ამ სინდრომის გარეშე. მათ ასევე 5-ჯერ უფრო მეტი აქვთ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების რისკი.

ინსრ წარმოადგენს გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევის, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის და კორონარული არტერიების დაავადების განვითარების ზოგად საფუძველს. სიმსუქნის სისშირის ზრდასთან ერთად იზრდება შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების სისშირე. ამჟამად აშშ-ში მისი სისშირე შეადგენს ზრდასრული მოსახლეობის 8.3%-ს (10).

ამგვარად, მეტს-ის და ინსრ-ის ზუსტი და ადრეული განსაზღვრა ძლიერ მნიშვნელოვანია კლინიკურ პრაქტიკაში, რადგან იგი საშუალებას გვაძლევს გამოვაწვინოთ კარდიოვასკულური პათოლოგიების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი პაციენტები. პოტენციური დამატებითი მეტაბოლური მარკერების შეფასება და გამოვლენა გვეხმარება უკეთესად მოვახდინოთ კარდიოვასკულური რისკის პროგნოზირება.

კვლევით დადგინდა დამოუკიდებელი კავშირი ინსულინრეზისტენტობასა და აპოB/აპო A-I თანაფარდობასთან, მეტაბოლური სინდრომის კომპონენტებთან, საერთო ქოლესტერინის და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის დონესთან. ასევე გაანალიზდა აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობის კავშირი მეტაბოლურ სინდრომსა და მის კომპონენტებთან, საერთო ქოლესტერინის და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის დონესთან საქართველოს პოპულაციაში. კვლევამ დაადგინა აპოლიპოპროტეინ B / აპოლიპოპროტეინ A-I თანაფარდობის, როგორც დამატებითი მეტაბოლური მარკერის, ოპტიმალური ზღვრული მაჩვენებელი მეტაბოლური სინდრომის და ინსულინრეზისტენტობის დიაგნოსტიკისთვის საქართველოს მოსახლეობაში, რაც ხელს შეუწყობს ამ პათოლოგიების მეტად რაციონალურ გამოვლენას და შეფასებას.

პუბლიკაციები:

1. Makaridze Z, Giorgadze E, Asatiani K. Association of the Apolipoprotein B/Apolipoprotein A-I Ratio, Metabolic Syndrome Components, Total Cholesterol, and Low-Density Lipoprotein Cholesterol with Insulin Resistance in the Population of Georgia. International journal of endocrinology. 2014;2014:8. www.hindawi.com/journals/ije/2014/925650/
2. Makaridze Z, Asatiani K. The Optimal Cutoff Value of Apolipoprotein B/Apolipoprotein A-I Ratio for the Diagnosis of Metabolic Syndrome and Insulin Resistance in the Population of Georgia. International Journal of Sciences: Basic and Applied Research (IJSBAR). 2014;17(2):224-35. <http://gssrr.org/index.php?journal=JournalOfBasicAndApplied&page=article&op=view&path%5B%5D=2585>
3. Makaridze Z, Giorgadze E, Asatiani K. Apolipoprotein b/apolipoprotein a-I ratio in relation to the metabolic syndrome, its components, total cholesterol and low-density lipoprotein cholesterol in the population of Georgia. Georgian Med News. 2014; 234:32-9. <http://www.geomednews.org/shared/issues/med234.pdf>

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა

1. დისერტაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე, 145 გვერდზე; ძირითადი ნაწილი მოიცავს 109 გვერდს, შედგება 6 თავისაგან; შეიცავს დასკვნებს და პრაქტიკული რეკომენდაციებს
2. დისერტაცია შეიცავს გამოყენებული ლიტერატურის სიას (375 ლიტერატურული წყარო), 16 ცხრილს, 6 გრაფიკს, 5 სურათს, 3 ჰისტოგრამას და 2 წერტილოვან დიაგრამას

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 ინსულინრეზისტენტობის განმარტება და მისი არსი

1.1.1 განმარტება

ინსულინრეზისტენტობა (ინსრ) განისაზღვრება როგორც სუბნორმული ბიოლოგიური პასუხი ინსულინის ნორმალურ კონცენტრაციაზე. ტიპიურად, კლინიკურ პრაქტიკაში, ინსრ განისაზღვრება როგორც მდგომარეობა როდესაც ინსულინის მოცემული კონცენტრაცია ასოცირებულია გლუკოზის სუბნორმულ პასუხთან (11). ტერმინი “ინსულინრეზისტენტობა” პირველად გამოიყენეს ინსულინოთერაპიის დაწყებიდან (1922 წელი) რამოდენიმე წელიწადში იმ პაციენტთა აღსანიშნავად რომლებიც საჭიროებდნენ ინსულინის მზარდ დოზას. ამ პაციენტთა უმარავლესობაში ინსრ დაკავშირებული იყო ინსულინის მიმართ ანტისხეულების მეორად პროდუქციასთან, რადგანაც იმ დროისთვის ინსულინის პრეპარატები არ იყო სუფთა და მიიღებოდა ცხოველებისგან (12). კლინიკურ პათოლოგიათა სპექტრი, რომლებშიც ინსრ თამაშობს წამყვან როლს, მნიშვნელოვნად შეიცვალა. დღესდღეობით დადგენილია, რომ ინსრ წარმოადგენს მრავალი დაავადების კომპონენტს.

1.1.2 ეტიოლოგია

ინსრ-ს აქვს თანდაყოლილი და შექენილი მიზეზები. თანდაყოლილ მიზეზებს მიეკუთვნება: ინსულინრეცეპტორების, გლუკოზის ტრანსპორტერების და სასიგნალო პროტეინების მუტაცია. შექენილ მიზეზებში მოიაზრება: უმოძრაო ცხოვრების წესი, კვების რეჟიმი, გარკვეული მედიკამენტების მიღება, ჰიპერგლიკემია, თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების კონცენტრაციის მატება, და ასაკის მატება (13).

მიზეზები შეიძლება ასევე იყოს იმის და მიხედვით, თუ რა დონეზე ხორციელდება მათი პირველადი ეფექტი: ინსულინის რეცეპტორამდე, მის დონეზე, და ინსულინის რეცეპტორის შემდეგ.

ინსრ-ის *პრერეცეპტორული* მიზეზები:

- პათოლოგიური ინსულინი (მუტაცია)
- ანტი-ინსულინ ანტისხეულები

ინსრ-ის რეცეპტორული მიზეზები:

- რეცეპტორების შემცირებული რაოდენობა (დარღვეულია, ძირითადად, თიროზინ კინაზას გააქტივების პროცესი)
- ინსულინის რეცეპტორთან შეკავშირების პროცესის დარღვევა
- ინსულინის რეცეპტორის მუტაცია

რადგანაც ინსულინის მოქმედება განპირობებულია მრავალი გენით, სამიზნე უჯრედების დეფექტი შეიძლება ასოცირებული იყოს ნებისმიერი პროტეინის მუტაციასთან, დაწყებული რეცეპტორიდან - საბოლოო ინსულინ-რეგულირებად პროტეინამდე. ამ მუტაციების შედეგი ინსულინრეცეპტორების ექსპრესიისა და ფუნქციონირებისთვის არის სხვადასხვა. შედეგად ვიღებთ რეცეპტორის ინფორმაციული რნმ-ის რაოდენობის შემცირებას (14, 15), პრორეცეპტორის დარღვეულ დიფერენცირებას მის α და β ერთეულებად (16), რეცეპტორების დარღვეულ ტრანსპორტს უჯრედის მემბრანამდე (14, 17), რეცეპტორის დაჩქარებული დეგრადაციას (18), ინსულინის შებოჭვის პროცესის დარღვევას (14, 19), რეცეპტორის თიროზინ კინაზას აქტივობის დარღვევას (20), PIK3R1 მუტაციას, რაც განაპირობებს ინსრ-ს ლიპოატროფით (21). ამ მუტაციებს აქვს ორივე, დომინანტური და რეცესიული, ფორმა.

- ინსულინრეცეპტორის მახლოკირებელი ანტისხეულები

ინსრ-ის პოსტრეცეპტორული მიზეზები:

- დეფექტური სიგნალის გარდაქმნა (ტრანსდუქცია)
- GLUT4 მუტაცია

ძალზე ხშირია მიზეზთა კომბინაცია. მაგალითად, სიმსუქნე (ინსრ-ის ყველაზე ხშირი მიზეზი) რომელიც ასოცირებულია უპირატესად პოსტრეცეპტორულ პათოლოგიასთან ასევე ასოცირებულია ინსულინრეცეპტორების დაქვეითებულ რაოდენობასთან. აღსანიშნავია აგრეთვე სხვა მდგომარეობები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც ინსრ-ის რეცეპტორული და პოსტრეცეპტორული ფორმები (22-25):

- ტიპი A სინდრომი
- ტიპი B სინდრომი
- ლეპრეჩაუნისიზმი
- ლიპოდისტროფიები
- ატაქსია-ტელეანგიექტაზია
- ვერნერის სინდრომი
- რაბსონ-მენდელჰალის სინდრომი
- ეპიფიზის ჰიპერტროფიის სინდრომი

სპეციფიური მდგომარეობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ინსრ:

- ასაკის მატება: შეიძლება გამოიწვიოს ინსრ GLUT4 პროდუქციის შემცირების ხარჯზე.
- ინსულინის ანტაგონისტების მომატებული პროდუქცია. ეს მექანიზმი გვხვდება შემდეგი დაავადებებისას: კუშინგის სინდრომი, აკრომეგალია, სტრესული მდგომარეობები (ტრავმა, ქირურგიული ჩარევა), დიაბეტური კეტოაციდოზი, მძიმე ინფექციები, ურემია, ღვიძლის ციროზი.
- მედიკამენტები: გლუკოკორტიკოიდები, ციკლოსპორინი, ნიაცინი, პროტეაზას ინჰიბიტორები. გლუკოკორტიკოიდული თერაპია გლუკოზოტოლერანტობის დარღვევის ხშირი მიზეზია და შეიძლება განვითარდეს დაბალი დოზების ხანგრძლივად მიღების დროსაც (26).
- ანტი-აივ თერაპია: ხშირია პროტეაზას ინჰიბიტორებთან ასოცირებული ლიპოდისტროფია. ნუკლეოზიდის ანალოგები ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს ინსრ-ის განვითარებასთან (27, 28).
- ინსულინოთერაპია: ანტი-ინსულინ ანტისხეულების დაბალი ტიტრი (IgG) გვხვდება უმრავლეს პაციენტებში, რომლებიც იტარებენ ინსულინოთერაპიას. იშვიათად, ეს ანტისხეულები აგრეთვე იწვევენ მნიშვნელოვან ინსრ-ს პრერეცეპტორულ დონეზე. კლინიკურად მნიშვნელოვანი ინსრ ვითარდება პაციენტებში, რომლებსაც აქვთ გამოსატული დაქვეითებული ქსოვილოვანი მგრძნობელობა ინსულინის მიმართ.

1.13 ეპიდემიოლოგია

ინსრ-ის გავრცელების სიხშირე ევროპეიდულ პოპულაციაში სხვადასხვა ავტორების მიხედვით 3%-დან 16%-დე შეადგენს. ინსრ-ის ყველაზე დაბალი სიხშირე აღმოჩენილია იაპონიაში. აშშ-ში ინსრ-ის სიხშირე შეადგენს 3%-ს ზოგად პოპულაციაში, თუმცა სიხშირის მრავალჯერადი ზრდა აღინიშნება გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევისას. ყველაზე მაღალი სიხშირე დაფიქსირებულია მექსიკური წარმოშობის ამერიკელებში (29-33).

A-ტიპის ინსრ უფრო ხშირია ახალგაზრდა პაციენტებში, მაშინ როდესაც B-ტიპის ინსრ – ასაკოვან ქალებში. ორივე ტიპი გაცილებით უფრო ხშირია ქალებში, თუმცა შეიძლება შეგვხვდეს მამაკაცებშიც.


პოლიკისტოზური საკვერცხეების სინდრომის მანიფესტირება (ინსრ) ტიპურია 20-25 წლამდე. ინსრ-ის ბევრი იშვიათი ფორმა მანიფესტირებს ადრეულ ასაკში (ლეპრექაუნიზმი – სიცოცხლის პირველ წლებში; ლიპოდისტროფიები – 6-9 წლამდე).

ინსრ გვხვდება ყველა რასაში. მეტაბოლური სინდრომის (34) კომპონენტების კომბინაცია უფრო ხშირია თეთრკანიანებში. თუმცა, ცალცალკე კომპონენტების სიხშირე უფრო მეტია არათეთრკანიან პოპულაციაში.

Acanthosis nigricans, ინსრ-ის ტიპური ფიზიკური ნიშანი, გვხვდება ყველა ეთნიკურ ჯგუფში, თუმცა უფრო ხშირია ლათინოამერიკელებში და შავკანიანებში, ვიდრე თეთრკანიანებში.

1.14 პათოფიზიოლოგია

ადამიანის ინსულინის რეცეპტორი კოდირებულია ერთი გენით, რომელიც შეიცავს 22 ეგზონს და ლოკალიზებულია მე-19 ქრომოსომაზე (35, 36). ერთი პრორეცეპტული პრეკურსორი (1382 ამინომჟავისგან) რომელიც შეიცავს 27-ამინომჟავა სასიგნალო პეპტიდს, სინთეზირდება ინფორმაციული რიბონუკლეინის მჟავისაგან. შემდგომში რეცეპტორს სცილდება სასიგნალო პეპტიდი, ის გადის გლიკოზილირებას, იყოფა α (მოლეკულური მასა, 135.000) და β (მოლეკულური მასა, 95.000) ნაწილებად. საბოლოოდ ვიღებთ დისულფიდით შეერთებულ ტეტრამერს, რომელიც შედგება ორი α და ორი β ნაწილისგან (სურათი 1). მომწიფებულ რეცეპტორში, ორივე β ნაწილის 23-ნაწიტი ჰიდროფობური დომენი ეხვევა პლაზმის მემბრანას. ექსტრაცელულური α ნაწილი უზრუნველყოფს ინსულინის შებოჭვას.



სურათი 1. ადამიანის ინსულინის რეცეპტორის სტრუქტურა

ინსულინის რეცეპტორი ნახევრებია როგორც ტრანსმემბრანული ტეტრამერული პროტეინი რომელიც შედგება ორი α და ორი β ნაწილისგან. რეცეპტორის მარჯვენა ნახევარში იდენტიფიცირებულია რამოდენიმე ფუნქციურად მნიშვნელოვანი საიტები. ასზე მეტი ბუნებრივად აღმოცენებული მუტაცია იდენტიფიცირებულია მარცხენა ნახევარში. (ადაპტირებულია Rosen OM. Structure and function of insulin receptors. Diabetes. 1989; 38:1508-11-დან)


ლიგანდის შებოჭვისთვის მნიშვნელოვანია ისეთი სპეციფიური დომენები როგორცაა ეგზონ 2-ით კოდირებული რეგიონი (37). β ნაწილის ტრანსმემბრანული კომპონენტი პასუხისმგებელია ინსულინის შებოჭვის სიგნალის გადაცემისთვის უჯრედის შიდა ნაწილში. ინსულინის შებოჭვის შემდეგ ხდება β ნაწილის ინტრაცელულური რეგიონის სპეციფიური თიროზინ ნარჩენის ფოსფორილირება, და თიროზინ კინაზას გააქტივება (38, 39).

β ერთეულის ციტოპლაზმურ ნაწილს აქვს ძლიერი შესაბამისობა სხვა ტრანსმემბრანული რეცეპტორების მიმართ რომლებსაც აქვთ თიროზინ კინაზას აქტივობა, როგორებიცაა ინსულინის მსგავსი ზრდის ფაქტორის (იზფ-1) რეცეპტორი, ეპიდერმული ზრდის ფაქტორის რეცეპტორი და რამოდენიმე პროტო-ონკოგენის პროდუქტი (40).

ინსულინი უერთდება ექსტრაცელულურ α ერთეულს, ააქტივებს β ერთეულის ინტრაცელულურ თიროზინ კინაზას დომენს (41). β ერთეულის რეცეპტორი აფოსფორილებს მის პარტნიორს სპეციფიური თიროზინ ნარჩენზე რომელსაც აქვს გარკვეული ფუნქცია, როგორცაა სასიგნალო მოლეკულების ინტერმოლეკულური ასოციაციის სტიმულაცია (Shc და Grb, IRS1-დან IRS4-დე, Shc პროტეინის იზოფორმები, SIRP პროტეინები – Gab-1, Cbl, CAP, APS (42, 43); მიტოგენების სტიმულაცია (44); და რეცეპტორის ინტერნალიზაცია (45) (სურათი 2).

ინსულინრეცეპტორის β ნაწილი ასევე განიცდის სერინის/ტრეონინის ფოსფორილებას რაც იწვევს რეცეპტორის აუტოფოსფორილების უნარის დაქვეითებას. PKC იზოფორმების აქტივობა რომელიც ასრულებს კატალიზატორის როლს ინსულინ რეცეპტორის ფოსფორილებაში მომატებულია ინსრ-სას როგორც ცხოველურ მოდელებში ასევე ადამიანებში (46, 47). ჩარევები რაც იწვევს ინსულინრეცეპტორის ფოსფორილების შემცირებას განაპირობებს ინსულინის რეცეპტორის სტიმულაციის ზრდას (48). ინსულინის რეცეპტორის სტიმულაციის ტერმინაცია ხდება როდესაც რეცეპტორი ინტერნალიზებულია და დეფოსფორილებული პროტეინ თიროზინ ფოსფატაზების მიერ. პროტეინ თიროზინ ფოსფატაზას მომატებული აქტივობა ასუსტებს ინსულინის რეცეპტორის სტიმულაციას. ორი პროტეინ თიროზინ ფოსფატაზა, რომლებიც ნეგატიურად არეგულირებს

ინსულინის რეცეპტორის სტიმულაციას, PTP1B და LAR (ლეიკოციტის ანტიგენ-დამოკიდებული), მომატებულია ინსრ პაციენტებში (49, 50).



სურათი 2. ინსულინის რეცეპტორების აქტივაცია

aPKC – ატიპიური პროტეინკინაზა C; C3G – გუანინ ნუკლეოტიდის გაცვლის ფაქტორი; Cbl – გენის ტრანსფორმაციის თანმიმდევრობა; CAP – Cbl-ასოცირებული პროტეინი; Crk – CT10 დაკავშირებული კინაზა; GAB – Grb2-ასოცირებული შემბოჭველი პროტეინი; Grb2-ზრდის ფაქტორის რეცეპტორთან შეკავშირებული პროტეინ-2; GSK3-გლიკოგენ სინტეზაზა კინაზა-3; IGF – ინსულინის მსგავსი ზრდის ფაქტორი; IRS – ინსულინის რეცეპტორის სუბსტრატი; MAP – მიტოგენ აქტივირებული პროტეინი; Mek – MAPK/ERK კინაზა; P – ფოსფატი; PI(3)K – ფოსფატიდილინოზიტოლ-3-კინაზა; PPI – პროტეინ ფოსფატაზა 1; PTEN – ფოსფატაზა და ტენზინის ჰომოლოგი წაშლილი მე-10 ქრომოსომაზე; PTP – პროტეინ თიროზინ ფოსფატაზა; RAS – ვირთხის სარკომის ონკოგენი; Shc – SH3-შემცველი პროტეინი; SHIP2 – SH2 დომენ-შემცველი ინოზიტოლ 5-ფოსფატაზა; SHP2 – დომენ-შემცველი პროტეინ თიროზინ ფოსფატაზა; SOS – გუანოზინ ტრიფოსფატის (GTP) შემბოჭველი პროტეინი (TC10).
 (ადაპტირებული *Saltiel AR, Kahn CR. Insulin signalling and the regulation of glucose and lipid metabolism. Nature.2001; 414:799-806*)

ინსულინი ამცირებს გლუკოზის ენდოგენურ პროდუქციას პირდაპირი (ღვიძლისმიერი) და არაპირდაპირი (პერიფერიული) მექანიზმით (51) (სურათი 3). პირდაპირი მექანიზმისას, პორტული ინსულინი თრგუნავს გლუკოზის პროდუქციას გლიკოგენოლიზის ინჰიბიციისას ფოსფოდიესტერაზას აქტივობის გაზრდის ხარჯზე (52, 53) ან პროტეინ ფოსფატაზას კომპლექსებში ცვლილებების ხარჯზე (54, 55). ინსულინის პერიფერიული ან არაპირდაპირი ეფექტი ორმაგია. პირველი, ინსულინი ძლიერ ამცირებს გლუკაგონის სეკრეციას პანკრეასის ალფა უჯრედების მიერ სისტემური და პარაკრინული გავლენის ხარჯზე (56). გლუკაგონის სეკრეციის შემცირება თრგუნავს გლიკოგენოლიზის და გლუკონეოგენეზის აქტივაციას. ინსულინის მეორე მნიშვნელოვანი პერიფერიული ეფექტი არის თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების დონის შემცირება ლიპოლიზის სუპრესიის ხარჯზე. თავისუფალი ცხიმოვანი მჟავები ზრდიან გლუკოზის ღვიძლისმიერ პროდუქციას გლუკონეოგენეზის სტიმულაციის ხარჯზე (57). ჩატარდა ცდა, როდესაც ჰიპერინსულინემიური კლემაირებისას პლაზმაში თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების კონცენტრაციის ვარდნა თავიდან აიცილეს ტრიგლიცერიდების ინფუზიით ჰეპარინთან ერთად (რაც იწვევს თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების კონცენტრაციის მაგებას ლიპოპროტეინ ლიპაზას აქტივაციის ხარჯზე). ამ პირობებში შემცირდა ღვიძლისმიერი გლუკოზის პროდუქციის ინსულინდამოკიდებული სუპრესია (58, 59). გლუკაგონის სეკრეციის სუპრესია და თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების ღვიძლში გადასვლის შემცირება წარმოადგენს გლუკოზის ღვიძლისმიერი პროდუქციის შემცირების დამატებით ფაქტორს.


ღვიძლისმიერი ინსრ თამაშობს მნიშვნელოვან როლს ჰიპერგლიკემიის პათოგენეზში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს (60-62), და ღვიძლისმიერი გლუკოზის პროდუქციის სუპრესიის დარღვევა ხარისხობრივად იგივეა ან მეტიც კი, ვიდრე პერიფერიაზე გლუკოზის ათვისების დეფექტი (61, 63). არის პირდაპირი კავშირი გლუკოზის მომატებულ ღვიძლისმიერი პროდუქციასა და უზმოდ ჰიპერგლიკემიას შორის (64). თუმცა, პერიფერიული ინსრ, შესაძლოა, თამაშობს უფრო მეტ როლს მომატებულ ღვიძლისმიერ გლუკოზის პროდუქციაში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს.

ინსულინის პირდაპირი ეფექტი:

- ↓ გლიკოგენოლიზი
- ↓ გლუკონეოგენეზი

ინსულინის არაპირდაპირი ეფექტი:

- ↓ თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების ღვიძლში დინება
- ↓ გლუკაგონის სეკრეცია



სურათი 3. გლუკოზის ღვიძლისმიერი პროდუქციის სუპრესია ინსულინით (პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმები).

ინსულირეზისტენტობის დროს, ინსულინის მიერ ლიპოლიზის დათრგუნვა ცხიმოვან ქსოვილში და გლუკაგონის სეკრეციისა კუნძულების მიერ იწვევს გაძლიერებულ გლუკონეოგენეზს. ამის გარდა, დარღვეულია აგრეთვე გლიკოგენოლიზის ინსულინისმიერი ინჰიბიცია. შედეგად, ღვიძლისმიერი და პერიფერიული ინსულირეზისტენტობა განაპირობებს არაადეკვატურ გლუკოზის პროდუქციას ღვიძლის მიერ.

ცხიმოვან ქსოვილში (განსაკუთრებით, აბდომინურ ცხიმში) ლიპოლიზის პროცესის რეზისტენტობა ინსულინის მიმართ ნაწილობრივ ხსნის ინსულინის უნარობას მოახდინოს ღვიძლისმიერი გლუკოზის პროდუქციის სუპრესია არაპირდაპირი გზით, რაც თავის თავად იწვევს გაძლიერებულ გლუკონეოგენეზს (65, 66). დამატებით, ინსრ-ს დროს დარღვეულია გლუკაგონის დონის სუპრესია, რაც ასევე, თავის მხვრივ, იწვევს ენდოგენური გლუკოზის პროდუქციის ზრდას (67).

ინსრ და ინსულინსენსიტიურობა (ინსს) რეციპროკულად დაკავშირებული არიან. ინსრ იწვევს ინსულინის გაძლიერებულ სეკრეციას გლუკოზის და ლიპიდების ნორმალური ჰომეოსტაზის შესანარჩუნებლად (68, 69). მათემატიკური დამოკიდებულება ინსრ და ინსს შორის არის ლინეარული ან ჰიპერბოლური. რამოდენიმე მედიატორი გადასცემს სიგნალს პანკრეასის ბეტა უჯრედებს ინსრ-ის საპასუხოდ. სიგნალების უკმარისობა ან ბეტა უჯრედების არაადეკვატური პასუხი (ინსს-ის დონის გათვალისწინებით) იწვევს ინსულინის არაადეკვატურ დონეს, უზმოდ დარღვეულ გლუკოზას, ტოლერანტობის დარღვევას გლუკოზისადმი, და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარებას. ეს პოტენციური სასიგნალო მედიატორები არიან: გლუკოზა, თავისუფალი ცხიმოვანი მუავები, ავტონომიური ნერვები, ცხიმოვანი ქსოვილის ჰორმონები (ადიპონექტინი), და ნაწლავის ჰორმონი – გლუკაგონისმაგვარი პეპტიდი 1 (გმპ-1). გმპ-1 არის შიდასეკრეტორული ჰორმონი რომელიც ასტიმულირებს ინსულინის სეკრეციას და აინჰიბირებს გლუკაგონის პროდუქციას, თრგუნავს აპოპტოზს.

იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ გლუკოზა და ლიპიდური მეტაბოლიზმი მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული მიტოქონდრიების მიერ გენერირებულ ენერგიაზე უჯრედებში, მიტოქონდრიული დისფუნქცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინსრ-ის და მისი გართულებების განვითარებაში (70).

ორი ჰორმონი, ლეპტინი და გრელინი, თამაშობს მნიშველოვან როლს ენერგეტიკულ ბალანსში. ლეპტინი არის ხანგრძლივად მოქმედი ენერგეტიკული ბალანსის რეგულატორი, რომელიც თრგუნავს საკვების მიღებას და შესაბამისად ასტიმულირებს წონის კლებას. გრელინი კი არის ხანმოკლე მოქმედების ჰორმონი, რომელიც სავარაუდოდ მოქმედებს კვების პროცესის დაწყებისას. სიმსუქნით დაავადებულ პაციენტებში აღინიშნება რეზისტენტობა ლეპტინის მიმართ. ამ ანორექსიგენული ჰორმონის

მოცირობის დონე სისხლში მომატებულია, ხოლო ორექსიგენული ჰორმონის, გრელინის, დონე კი დაქვეითებულია. მედიკამენტოზურ მკურნალობას ამ მიმართულებით კარგი პოტენციალი აქვს (71).

ინსრ თამაშობს წამყვან პათოგენურ როლს მეტს-ის განვითარებაში (34), რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- ჰიპერინსულინემია
- შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2, ტოლერანტობის დარღვევა გლუკოზისადმი ან უზომოდ დარღვეული გლუკოზა
- ცენტრალური სიმსუქნე
- არტერიული ჰიპერტენზია
- დისლიპიდემია: ტრიგლიცერიდების (ტრიგ) მაღალი დონე ან მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის (მსლ) დაბალი დონე
- ჰიპერკოაგულაცია რაც ხასიათდება პლაზმინოგენის აქტივატორის ინჰიბიტორ-I-ის მომატებული დონით

ანთებითი პროცესი და ადიპოციტოკინები თამაშობენ გარკვეულ როლს მეტს-ის ეტიოპათოგენეზში (72-75). მწვავე ფაზის მაჩვენებლის – C-რეაქტიული ცილის მომატებული დონე ხშირად ასოცირებულია მეტს-თან და ინსრ-თან, რაც სავარაუდოს ხდის ქრონიკული, დაბალი დონის ანთებითი პროცესის პათოგენურ მნიშვნელობას (76). ბევრმა კვლევამ დაადასტურა კავშირი C-რეაქტიული ცილის მომატებულ დონესა და შაქრიანი დიაბეტის და კარდიოვასკულური დაავადებების განვითარებას შორის. (77-79).

ადიპონექტინის დაბალი დონე და ლეპტინის მომატებული დონე ასევე ასოცირებულია მეტს-თან და კარდიოვასკულურ დაავადებებთან (80-83).

ომენტინი, ახალი ადიპოკინი, არის პროტეინი რომელიც წარმოიქმნება და განიცდის ექსპრესიას ვისცერალურ (მაგრამ არა კანქვეშა) ცხიმოვან ქსოვილში. ის ზრდის ინსულინსენსიტიურობას ადიპოციტებში. ომენტინ-1, ომენტინის მთავარი მოცირობის იზოფორმა, უარყოფითად კორელირებს სხეულის მასის ინდექსთან (სმი), წელის გარშემოწერილობასთან (წგ), ლეპტინის დონესთან და ინსრ-თან. ხოლო დადებითად კორელირებს ადიპონექტინთან და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინთან (მსლ) (84-87).

ინსრ, კომპენსატორული ჰიპერინსულინემია, და სხვა კომპონენტები ასოცირებულია კარდიოვასკულურ დაავადებების მომატებულ რისკთან; ენდოთელიუმის დისფუნქცია წარმოადგენს ინსრ-ის გამოხატულ ნიშანს (88). შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 ხასიათდება ღვიძლისმიერი გლუკოზის გაზრდილი წარმოქმნით, მომატებული პერიფერიული რეზისტენტობით ინსულინის მიმართ (რეცეპტორული და პოსტრეცეპტორული დეფექტები), და ინსულინის დარღვეული სეკრეციით (89-93).

ჩონჩხის კუნთში, სხვადასხვა დარღვევები, მათ შორის გლუკოზის დარღვეული ტრანსპორტი (გლუკოზა ტრანსპორტერი 4 (GLUT-4) არის მთავარი ტრანსპორტერი), შეიძლება წარმოადგენდეს ინსრ-ის განვითარების მიზეზს.

ინსულინ და ინსულინის მსგავსი ზრდის ფაქტორი (იზფ) წარმოადგენენ ოვარიული ფუნქციის მნიშვნელოვან მარეგულირებელს. ითვლება, რომ ინსრ და ჰიპერინსულინემია პასუხისმგებელი არიან ჰიპერანდროგენიაზე, რომელიც დამახასიათებელია პოლიკისტოზური საკვერცხეების სინდრომისთვის.

აღწერილია ორი ძირითადი ინსულინ რეცეპტორის პათოლოგია რომლებიც ასოცირებულია Acanthosis nigricans-თან: კლასიკური ტიპი A ინსრ-ის სინდრომი, დაკავშირებული რეცეპტორის არ არსებობასთან ან დისფუნქციასთან; და ტიპი B, დაკავშირებული აუტოანტისხეულებთან ინსულინრეცეპტორის მიმართ. ორივე სინდრომი ასოცირებულია ჰიპერინსულინემიასთან.

ინსრ შეიძლება განვითარდეს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის მქონე ზოგიერთ პაციენტში . ერთ-ერთ კვლევაში, Uruska და სხვ. აღმოაჩინეს დამოუკიდებელი ასოციაცია ინსრ-ს და მიკროანგიოპათიის განვითარების რისკს შორის შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ით დაავადებულ პაციენტებში, რომლებმაც დაიწყეს ინტენსიური ინსულინოთერაპია დიაგნოზის დასმისთანავე (94).

ავტორებმა დაადგინეს, რომ ინსრ-ის ისეთი მაჩვენებლები როგორცაა წგ, წელისა და ბარძაყის გარშემოწერილობის თანაფარდობა (წ/ბ თანაფარდობა) და ტრიგ ღონე, უფრო მეტია მიკროანგიოპათიით დაავადებულ პაციენტებში ვიდრე იმათში ვისაც ეს გართულება არ აქვს.

1.2 ინსულინის სეკრეცია

1.2.1 ბეტა უჯრედების ფუნქციის რაოდენობრივი განსაზღვრა

ინსულინის კონცენტრაციის განსაზღვრა სისხლში რადიოიმუნური მეთოდით (RIA) დღემდე ყველაზე გავრცელებული მეთოდია ბეტა უჯრედების ფუნქციის რაოდენობრივი შეფასებისთვის (95). თუმცა ამ მეთოდით განსაზღვრული ინსულინის კონცენტრაცია არ არის ზუსტი, რადგანაც ბეტა უჯრედების მიერ წარმოქმნილი 50%-დან 60%-დე ინსულინი სისტემური ცირკულაციის მიღწევამდე ღვიძლისმიერ ექსტრაქციას განიცდის (96, 97).

ინსულინი წარმოიქმნება ერთჯაჭვიანი პრეპროსორისგან, პროინსულინისგან (98). პანკრეასის ბეტა უჯრედების გოლჯის აპარატში პროინსულინისგან სპეციფიური კონვერტაზების მეშვეობით წარმოიქმნება ინსულინი, C-პეპტიდის, და ბაზისური ამინომჟავების ორი წყვილი. ამის შემდეგ ინსულინი ხვდება სისტემურ ცირკულაციაში კონცენტრაციით, რომელიც ექვიმოლურია C-პეპტიდთან (99, 100). გარდა ამისა, სისტემურ ცირკულაციაში ხვდება აგრეთვე ინტაქტური პროინსულინი და პროინსულინის კომპერსიის შუალედური ფორმები მცირე რაოდენობით.

პროინსულინი და მასთან დაკავშირებული კონვერსიის შუალედური ფორმები შეადგენენ საერთო მოცირკულირე ინსულინის იმუნორეაქტიულობის 20%-ს (101). პროინსულინს გააჩნია ინსულინის ბიოლოგიური აქტივობის 10% (102, 103) და პროინსულინის შუალედური ფორმების აქტივობა შუალედურია ინსულინსა და პროინსულინს შორის (104, 105). C-პეპტიდს არ აქვს გადამწყვეტი ზეგავლენა კარბოჰიდრატების მეტაბოლიზმზე (106, 107), თუმცა, გარკვეული ფიზიოლოგიური ეფექტები მასაც აქვს (108). ინსულინისგან განსხვავებით, პროინსულინი არ ექსტრაგირდება თირკმლის მიერ. მისი ნახევრად დაშლის პერიოდი პლაზმაში 30 წუთს შეადგენს (109), რაც მკვეთრად განსხვავდება ინსულინისგან, რომლის ნახევრად დაშლის პერიოდი 4 წუთია.

1.2.2 ინსულინის სეკრეციის ტემპორალური მოდელი

დადგენილია, რომ ინსულინის საერთო რაოდენობის 50% (24-საათიან პერიოდში) წარმოიქმნება ბაზალურ პირობებში; დანარჩენი 50% კი საკვების მიღებისას (110, 111). ბაზალური ინსულინის სეკრეცია შეადგენს 18-დან 32 ერთეულამდე (0.7-დან 1.3 მგ-დე) (110, 112, 113). საკვების მიღების შემდეგ, ინსულინით სეკრეტორული პასუხი სწრაფია, და ინსულინის სეკრეცია იზრდება დაახლოებით ხუთჯერ ბაზალურთან შედარებით და აღწევს პიკს დაახლოებით 60 წუთში.

როდესაც კვლევის სუბიექტებმა მიიღეს საუზმისას საერთო კალორიების 20%, ლანჩის დროს – 40% და სადილის დროს დანარჩენი 40%, წარმოქმნილი ინსულინის რაოდენობა ყოველი საკვების მიღების შემდეგ არ განსხვავდებოდა მნიშვნელოვნად ერთმანეთისგან. აღინიშნებოდა სწრაფი ინსულინ სეკრეტორული პასუხი საუზმეზე, სეკრეტირებული ინსულინის 71.6% პირველ ორ საათში და დანარჩენი რაოდენობა შემდგომ ორ საათში. ინსულინის სეკრეცია შეადგენდა საერთო რაოდენობის 62.8%-ს და 59.6%-ს ლანჩის და სადილის (შესაბამისად) მიღების შემდეგ საკვების მიღებიდან პირველი ორი საათის განმავლობაში.

ინსულინის ნორმალური სეკრეტორული პროფილი ხასიათდება ინსულინის სეკრეტორული “პულსების” თანმიმდევრობით. სწრაფი ოსცილაციები, რომლებიც ჩნდება ყოველი 8-15 წუთი “ზედ ედება” უფრო ნელ ოსცილაციებს, რომლებიც ჩნდება 80-150 წუთის პერიოდულობით.


ასევე აღწერილია ინსულინის სეკრეციის ცირკადული ვარიაციები. გაიზომა ინსულინის სეკრეცია 24-საათის განმავლობაში. მაქსიმალური პოსტპრანდიული პასუხი აღინიშნებოდა საუზმის შემდგომ.

1.2.3 ინსულინის სეკრეცია სიმსუქნის და ინსულინრეზისტენტობის დროს

სიმსუქნე და სხვა ინსულინრეზისტენტული მდგომარეობები ასოცირებულია შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების მომატებულ რისკთან. პანკრეასის ბეტა უჯრედების უნარი მოახდინოს ინსრ-ის კომპენსაცია განსაზღვრავს პათოლოგიის (ტოლერანტობის დარღვევა გლუკოზისადმი/შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2) განვითარების ალბათობას. ბეტა უჯრედების მიერ კომპენსაციის არსს წარმოადგენს ინსულინის ჰიპერსეკრეცია გლუკოზის დონის

ნორმალური მაჩვენებლების პირობებშიც. ეს ხდება მხოლოდ ბეტა უჯრედების მომატებული მგრძობელობისას გლუკოზისადმი, რაც განპირობებულია ორი ფაქტორით. პირველი, სიმსუქნისას და სხვა ინსულინრეზისტენტული მდგომარეობისას აღინიშნება ბეტა უჯრედების მომატებული მასა (114). მეორე, ინსრ ასოცირებულია ჰექსოკინაზას მომატებულ ექსპრესიასთან ბეტა უჯრედებში, რაც დაკავშირებულია გლუკოკინაზას ექსპრესიასთან (115).

სიმსუქნისას ინსრ დაკავშირებულია ჰიპერინსულინემიასთან. ჰიპერინსულინემია ამ სიტუაციაში ინსულინის მომატებული პროდუქციის და დაქვეითებული მოხმარების კომბინაციას წარმოადგენს, თუმცა ჰიპერპროდუქცია წარმოადგენს წამყვან ფაქტორს (116, 117). ორივე, ბაზალური და 24-სთ-იანი ინსულინის სეკრეციის ინტენსიობა 3-4 ჯერ უფრო მეტია სიმსუქნით დაავადებულ პაციენტებში და მკაცრად კორელირებს სმითან. გამოიკვლიეს ინსულინის სეკრეცია გლუკოზის ინტრავენურ ინფუზიაზე ინსრ პაციენტებში (რომლებსაც არ აღენიშნებოდათ სხვა პათოლოგია), რაც შეადარეს ინსს პაციენტების პასუხთან (სურათი 4). როგორც სურათიდან ჩანს, ორივე, ინსულინის კონცენტრაცია და ინსულინის სეკრეცია, მომატებულია ინსრ-ლ პაციენტებში ორი მიზეზის კომბინაციის გამო: მომატებული სეკრეცია და დაქვეითებული მოხმარება. გლუკოზის კონცენტრაციის ყველა დონეზე ინსულინის სეკრეცია არის უფრო ინტენსიური ინსრ პაციენტებში ვიდრე ინსს-ში, რაც წარმოადგენს ბეტა უჯრედების ადაპტაციურ პასუხს პერიფერიულ ინსულინრეზისტენტობაზე. ინსულინის სეკრეციის დროსთან დაკავშირებული მოდელი უნილატერალურია ინსრ პაციენტებში ინსს პაციენტებთან შედარებით. ინსულინის ბაზალური სეკრეცია სიმსუქნით დაავადებულ პაციენტებში შეადგენს საერთო დღიურის 50%-ს, და სეკრეტორული “პულსები” ჩნდება ყოველ 1.5 - 2 საათში (116, 118). თუმცა, ამ “პულსების” ამპლიტუდა პოსტპრანდიულად უფრო მეტია სიმსუქნით დაავადებულ პაციენტებში. მაგრამ, პოსტპრანდიული პასუხის პროცენტებში გადაყვანისას (ბაზალურ სეკრეციასთან მიმართებაში), პოსტპრანდიული სეკრეციის ინტენსივობა იდენტურია პაციენტთა ორივე კატეგორიაში.



გრაფიკი 1. პლაზმაში ინსულინის კონცენტრაცია (A) და ინსულინის სეკრეცია (B) პლაზმაში გლუკოზის კონცენტრაციის ზრდასთან მიმართებაში გლუკოზის ინფუზიისას ინსულინრეზისტენტულ (წყვეტილი ხაზი) და ინსულინსენსიტიურ (უწყვეტი ხაზი) პაციენტებში. (ადაპტირებულია: Jones CNO, Pei D, Staris P et al. Alterations in the glucose stimulated insulin secretory dose-response curve and in insulin clearance in nondiabetic insulin-resistant individuals. *J Clin Endocrinol Metab.* 1997; 82: 1834-1838-დან)

1.3 ინსულინრეზისტენტობის განსაზღვრა

კლინიკურ პრაქტიკაში არ არსებობს ინსრ-ის განსაზღვრის ერთადერთი და უნივერსალური მეთოდი. დიაგნოზი ეყრდნობა კლინიკური ნიშნების კომბინაციას ლაბორატორიულ ტესტებთან. ინსრ-ბა შესაძლებელი განისაზღვროს შემდეგი მეთოდებით:

1.3.1 ინსრ-ის განსაზღვრის ერთერთი ყველაზე პრაქტიკული მეთოდია პლაზმის *ინსულინის კონცენტრაციის* გაზომვა დილით უზმოდ. რადგანაც ეს მეთოდი მარტივია და შედარებით იაფი, ის გამოიყენეს რამოდენიმე პოპულაციურ კვლევაში (119-122). პლაზმის ინსულინის მნიშვნელოვნად მომატებული დონე მიუთითებს ინსრ-ზე. მაგრამ უზმოდ განსაზღვრულ პლაზმის ინსულინს შეუძლია ახსნას ინსულინის მოქმედების ვარიაბელობის მსოლოდ 5-დან 50%-დე პაციენტებში რომლებიც არ არიან დაავადებული შაქრიანი დიაბეტით (123, 124). მიზეზი ის არის რომ პლაზმის ინსულინის დონე დამოკიდებულია არა მხოლოდ ინსულინის სენსიტიურობაზე, არამედ ინსულინის სეკრეციაზე, დისტრიბუციაზე და დეგრადაციაზე (125). გარდა ამისა, შაქრიანი დიაბეტის განვითარებასთან ერთად, უზმოდ ინსულინის დონე მცირდება ბეტა უჯრედების დისფუნქციის გამო. შესაბამისად, პლამზაში ინსულინის დონე დიაბეტით დაავადებულ პაციენტში არის ორივე პროცესის გამოხატულება, ქსოვილის ინსულინრეზისტენტობის და ინსულინის პროდუქციის შემცირების (126). ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ნორმოგლიკემიურ პაციენტებში უზმოდ ინსულინის დონე არის ინსულინსენსიტიურობის უფრო ზუსტი პრედიქტორი ვიდრე პაციენტებში დარღვეული ტოლერანტობით გლუკოზისადმი და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით დაავადებულებში (124, 127, 128). უზმოდ განსაზღვრულ ინსულინს სხვა შეზღუდვაც აქვს: ეს არის ჯვარედინი რეაქტიულობა ინსულინსა და პროინსულინს შორის. პროინსულინის დონე მაღალია ინსულინრეზისტენტულ პაციენტებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით და დარღვეული რეზისტენტობით გლუკოზისადმი, მაგრამ არა ინსულინრეზისტენტულ პაციენტებში ნორმოგლიკემიით (129-131). უზმოდ განსაზღვრული (რადიოიმუნური მეთოდით) ინსულინის დონის ნორმა 3-დან 32-დე მერთ/ლ შეადგენს (132, 133). თუმცა, არ არსებობს ინსულინრეზისტენტობის მაჩვენებელი ზუსტად განსაზღვრული ინსულინის

დონე. ერთერთ პოპულაციურ კვლევაში, რომელიც შეისწავლიდა ასოციაციას ინსულინის დონისა და კარდიოვასკულურ რისკს შორის, Lindahl et al. (134) განსაზღვრეს ინსულინრეზისტენტობა როგორც პლაზმის ინსულინის დონე > 7.2 მერთ/ლ. McAuley et al. (135) ერთერთ კვლევაში დაადგინეს პლაზმის ინსულინის დონე > 12.2 მერთ/ლ როგორც ინსულინრეზისტენტობის პრედიქტორი ნორმოგლიკემიურ პაციენტებში. Laakso (124), ასევე შეისწავლა რა ნორმოგლიკემიური პაციენტები, დაადგინა ინსულინრეზისტენტობის დიაგნოსტიკურ ზღვარად ინსულინის დონე ≥ 18 მერთ/ლ. Ascaso et al. (136), ჩათვალეს რა პათოლოგიად ინსულინის მაჩვენებლების ზედა 10%, დაადგინეს ინსულინრეზისტენტობის დიაგნოსტიკურ ზღვარად ინსულინის დონე ≥ 16.7 მერთ/ლ იმ პაციენტებში, რომლებიც არ არიან დაავადებული შაქრიანი დიაბეტით. სხვა შეზღუდვით შეიძლება ჩაითვალოს ინსულინი სეკრეციის პულსური რეჟიმი (პულსები 10-15 წუთიანი ინტერვალებით, და ოსცილაციები 1-3 საათამდე პერიოდულობით). ინსულინის სეკრეციის პულსების პერიოდულობა, ამპლიტუდა და ოსცილაციები იცვლება უზმოდ გლუკოზისადმი დარღვეული ტოლერანტობისას და შაქრიანი დიაბეტის არსებობისას (137). ამ შეზღუდვების გათვალისწინებით, უზმოდ ინსულინის დონის განსაზღვრას აქვს შეზღუდული კლინიკური მნიშვნელობა, მაგრამ შეიძლება მისი გამოყენება პოპულაციურ კვლევებში.

13.2 უზმოდ გლუკოზა / ინსულინი-ს თანაფარდობა (გ/ი თანაფარდობა) მათემატიკური მოდელია, რომელიც იყენებს უზმოდ გლუკოზას და ინსულინს ინსულინსენსიტიურობის განსაზღვრის თვალსაზრისით. რაც უფრო მაღალია თანაფარდობა მით უფრო ინსულინრეზისტენტულია პაციენტი. თანაფარდობა კარგად კორელირებს ინსულინრეზისტენტობის სხვა ინდექსებთან (135, 138-145). ზემოთხამოთვლილ შეზღუდვებთან ერთად, მთავარ პრობლემას წარმოადგენს თანაფარდობის უზუსტობა შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში, რაც დაკავშირებულია ინსულინის სეკრეციის დეფექტთან და პლაზმაში გლუკოზის მაღალ დონესთან (138, 140, 146, 147). ნორმოგლიკემიურ პაციენტებში თანაფარდობას არ აქვს გამოსატული უპირატესობა 1/ინსულინი-ს გაზომვასთან (147) ან უზმოდ გლუკოზის განსაზღვრასთან (135). ის იძლევა არაპირდაპირ ინფორმაციას მთელი სხეულის

ინსულინსენსიტიურობაზე და არა ინსულინის ეფექტზე პერიფერიულ ქსოვილებზე (138). როგორც წინა მაჩვენებელი მისი გამოყენება ლიმიტირებულია შაქრიანი დიაბეტის არ მქონე პირებში.

1.3.3 ყველა ზემოხაზოთვლილი შეზღუდვების გამო შემუშავდა ალტერნატიული მათემატიკური მოდელი – *გლუკოზის უწყვეტი ინფუზიის მოდელური შეფასება (გუიმშ)*. ეს მეთოდი აფასებს ინსულინსენსიტიურობას გლუკოზისა და ინსულინის სტაბილური კონცენტრაციის პირობებში, რაც მიიღწევა გლუკოზის უწყვეტი ინფუზიით და მოდელირებით (148). ეს პროცედურა ახდენს პოსტპრანდიული მდგომარეობის იმიტაციას. გუიმშ-ში იძლევა ინფორმაციას არამარტო გლუკოზოტოლერანტობისა და ინსულინსენსიტიურობის შესახებ, არამედ ბეტა უჯრედების ფუნქციის შესახებაც. გლუკოზის ჰომეოსტაზის მათემატიკური მოდელირებით ხდება გლუკოზისა და ინსულინის მაჩვენებლების შედარება გლუკოზის ინფუზიის უკვე ცნობილ ფიზიოლოგიურ მონაცემებთან რომლებიც მიიღება ჯანმრთელ სუბიექტებისაგან შაქრიანი დიაბეტის ოჯახური ანამნეზის გარეშე. მონაცემებს იღებენ გლუკოზის (5 მგ X კგ იდეალური სხეულის მასის წონა⁻¹ X წუთი⁻¹) უწყვეტი 60 წუთიანი ინფუზიის მოლო 15 წუთის მანძილზე 5 წუთიანი ინტერვალებით, რათა თავიდან აიცილონ ინსულინის სეკრეციის ოსცილაციები. მიღებულ საშუალოს ადარებენ წინასწარ განსაზღვრულ მნიშვნელობას კომპიუტერული მოდელიდან. საშუალო მნიშვნელობა ჯანმრთელი სუბიექტებისთვის არის 1.35, ხოლო შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებისთვის 4 (148). ეს მეთოდი გამოყენებულ იქნა მრავალ კვლევაში ინსულინრეზისტენტობის განსაზღვრისთვის (34, 149-153).

ამ მეთოდს აქვს ორი ძირითადი უპირატესობა HOMA-IR-თან. პირველი, ინსულინის მაჩვენებლები, რომლებიც შეიძლება გამოიყენო ამ მეთოდში, ბევრად მაღალია ვიდრე HOMA-IR-ში გლუკოზისმიერი სტიმულირების გამო. შესაბამისად, თავიდან არის აცილებული ინსულინის განსაზღვრის მეთოდებს შორის ვარიაბელობის კოეფიციენტი (10-15%) (137, 154), რაც ძალზე პრობლემატურია ინსულინის დაბალი კონცენტრაციის დროს (155). მეორე უპირატესობა მდგომარეობს იმაში რომ ინსულინის უფრო მაღალი კონცენტრაცია ასტიმულირებს პერიფერიის მიერ გლუკოზის მოხმარებას, და

ამით ქმნის გლუკოზის სტაბილურ კონცენტრაციას, რაც პერიფერიული ინსულინსენსიტიურობის უკეთესი გამოსატყულებაა.

მიუხედავად იმისა რომ გუიმში უფრო ფიზიოლოგიური, იაფი და ნაკლებად ინვაზიური პროცედურაა ვიდრე ინტრავენური გლუკოზოტოლერანტული ტესტი ხშირი ნიმუშებით (იგტბნ) და “კლემპ” პროცედურა, ის მაინც ნაკლებად ხუსტია, რადგანაც ის უშვებს არასწორ ვარაუდს რომ ღვიძლის და პერიფერიული ქსოვილების ინსრ-ბა ერთი და იგივეა. აგრეთვე, ინსულინდეფიციტურ პაციენტებში, როდესაც ინსულინის კონცენტრაცია არ არის საკმარისი იმისათვის რომ მოხდეს გლუკოზის ადექვატური მოხმარება, ამ მეთოდის შედეგის ინტერპრეტაცია გაძნელებულია (125). მისი გამოყენება კლინიკაში შეზღუდულია რადგანაც ის არ არის ისეთი მარტივი ტესტი როგორც უზომოდ ინსულინის განსაზღვრა ან HOMA-IR. კვლევებშიც მისი ფართოდ გამოყენება საკამათოა, რადგანაც დღეისთვის არ არსებობს მყარი მტკიცებულება მისი ეფექტურობის შესახებ “ოქროს სტანდარტთან” (ეუგლიკემიური ჰიპერინსულინემიური კლემპი) შედარებით.

13.4 რადგანაც გლუკოზოტოლერანტობა ნაწილობრივ დეტერმინირებულია პერიფერიული ქსოვილის სენსიტიურობით გლუკოზის მიმართ, ორალური გლუკოზოტოლერანტული ტესტი (ოგტტ) გამოიყენება ინსულინის პროდუქციისა და პერიფერიული ქსოვილების ინსულინის მიმართ სენსიტიურობის მაჩვენებლად. გამომდინარე იქედან, რომ ეს მეთოდი უფრო იაფია და ნაკლებად შრომატევადი, ის მიიჩნევა პრაქტიკულ მეთოდად ეპიდემიოლოგიურ კვლევებში (156), და პოპულაციის სკრინინგში (146, 157, 158). ინსულინსენსიტიურობის შეფასებისთვის გამოიყენება გლუკოზის და ინსულინის ოთხი ნიმუში (0, 30, 60 და 120 წუთები) 75 გრამი გლუკოზის მიღების შემდეგ. მეთოდი კარგად კორელირებს ეუგლიკემიურ კლემპთან (146, 159-162) და იგტბნ-თან (161). თუმცა, კორელაცია უფრო ხუსტია შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს (146, 163, 164) და დარღვეული ტოლერანტობის დროს (128, 156). არსებობს სხვა შეზღუდვებიც. პირველი, ორალური გლუკოზოტოლერანტული ტესტის დროს, ღვიძლისმიერი გლუკოზის სეკრეციის სუპრესია არის მინიმალური, რაც ხელს უშლის პლაზმაში გლუკოზის დონის ინტერპრეტაციას. ამ მეთოდის გამოყენებით შეუძლებელი ხდება სხვადასხვა სახის ინსულინსენსიტიურობის დიფერენცირება (მთელი

სხეული, პერიფერიული, ღვიძლისმიერი) (165). მეორე, ინსულინის დონე რომელიც იქმნება ოგტტ საპასუხოდ დამოკიდებულია აგრეთვე ნაწლავის ჰორმონებზე, ნევრალურ სტიმულაციაზე, ბეტა უჯრედების მთლიანობაზე (166). მაგალითად, ნანახია რომ 75 გ გლუკოზის მიღების შედეგ, სიმსუქნით დაავადებულ პაციენტებს აღენიშნებათ ინსულინის ჰიპერსეკრეცია (167), ხოლო შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით დაავადებულებს აღენიშნებათ დარღვეული სეკრეცია (168). მესამე, გლუკოზის ჰომეოსტაზი პოსტპრანდიულ მდგომარეობაში დამოკიდებულია ნაწილობრივ გლუკაგონის სუპრესიაზე და ნაწილობრივ მიღებული გლუკოზის ცირკულაციაში შესვლის სისწრაფეზე. ეს სისწრაფე დეტერმინირებულია კუჭის დაცლის სისწრაფით და კუჭ-ნაწლავის მიერ გლუკოზის აბსორბციაზე (169, 170). მეოთხე, ეს მეთოდი ცუდად რეპროდუცირებადი. კვლევები ადასტურებს, რომ ეს მეთოდი შედეგების მხოლოდ 50-დან 65%-დე რეპროდუცირების საშუალებას იძლევა (157, 171, 172).

მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, ოგტტ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კლინიკის პირობებში და ფართომასშტაბურ კლინიკურ და ეპიდემიოლოგიურ კვლევებში.

13.5 ერთერთი პირველი ტესტი ინსულინსენსიტიურობის განსაზღვრის თვალსაზრისით იყო ინსულინის ტოლერანტობის ტესტი (იტტ) (173). ამ მეთოდში ხორციელდება ინსულინის ფიქსირებული ინტრავენური ინფუზია (0.1 ერთ/კგ წონაზე) უზმოდ (8-10 საათი) ყოფნის შენდეგ. გლუკოზის დონის შემცირება იზომება 60 წუთის განმავლობაში. რაც უფრო სწრაფია გლუკოზის კონცენტრაციის შემცირების ტემპი, მით უფრო ინსულინსენსიტიურია სუბიექტი. პლაზმის გლუკოზის დონის ლინეარული დაქვეითების დაქანება ($K_{იტტ}$) შეიძლება გამოთვალეთ ფორმულით:

$$K_{იტტ} = 0.693 / t^{1/2} \times 100,$$

სადაც $t^{1/2}$ წარმოადგენს პლაზმის გლუკოზის დონის დაქვეითების ნახევარ დროს (ბაზისურიდან 50%-ით) (174). ნორმალურია $K_{იტტ} > 2.0\%$ / წთ და მნიშვნელობა < 1.5 არის პათოლოგიური. ეს მეთოდი წარმოადგენს საერთო ინსულინსენსიტიურობის არაპირდაპირ განსაზღვრას. რამოდენიმე კვლევამ დაადასტურა მისი კარგი კორელირება ეუგლიკემიურ კლემპთან (175-177).

მეთოდის ნაკლს წარმოადგენს ინსულინის სუპრაფიზიოლოგიური დოზირება და პერიფერიული და ღვიძლისმიერი ინსულინრეზისტენტობის დიფერენცირების შეუძლებლობა. გარდა ამისა, ჰიპოგლიკემია იწვევს საწიანააღმდეგო ჰორმონულ პასუხს, რაც ცვლის ინსულინსენსიტიურობის მაჩვენებელს. ჰიპოგლიკემიის რისკის შესამცირებლად რეკომენდებული იქნა ინსულინის დოზის განახევრება, ან ტესტირების დროის შემცირება 15 წუთამდე (178-180). მოდიფიცირებული მეთოდის ახვევ კარგად კორელირებს ეუგლიკემიურ კლემპთან (178). თუმცა, ზოგიერთმა კვლევამ არ დაადასტურა ჰიპოგლიკემიის შემცირების რისკი ინსულინსენსიტიურ პაციენტებში (155, 181, 182).

- ამერიკის დიაბეტის ასოციაციის კონსენსუსის დოკუმენტის თანახმად, მხოლოდ ეუგლიკემიური ჰიპერინსულინემიური კლემპი და ინტრავენური გლუკოზოტოლერანტული ტესტი ხშირი ნიმუშებით/ მინიმალური მოდელი იძლევა პერიფერიული ინსულინრეზისტენტობის შედარებით ზუსტი განსაზღვრის საშუალებას (126).

13.6 ეუგლიკემიური ჰიპერინსულინემიური კლემპი (ეჰკ) განიხილება როგორც ინსულინსენსიტიურობის განსაზღვრის ოქროს სტანდარტი (183). ის ზომავს გლუკოზის სტაბილურ რაოდენობას რომელიც მეტაბოლიზდება სხეულის ერთ ერთეულზე ინსულინის წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის ზემოქმედების ქვეშ, მაშინ როდესაც პლაზმის გლუკოზის დონე ნარჩუნდება ეუგლიკემიურ ფარგლებში (166). ამ მეთოდში ხდება ინსულინის და გლუკოზის “კლემპირება”, რაც იძლევა მათზე დამოუკიდებლად მანიპულირების საშუალებას. მეთოდოლოგია გულისხმობს ინსულინის უწყვეტ ინფუზიას და ეუგლიკემიის შენარჩუნებას (90 მგ/დლ) გლუკოზის სხვადასხვა დოზის ინფუზიით, ანუ გლუკოზის დოზის მორგება ხდება სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის განსაზღვრით და ეუგლიკემიის შენარჩუნებით. სარწმუნო პასუხის მისაღებად მეთოდი გულისხმობს, რომ ინსულინისა და გლუკოზის გადასხმის შედეგად ენდოგენური ღვიძლისმიერი გლუკოზის პროდუქცია ინჰიბირებულია სრულად და პლაზმის გლუკოზის კონცენტრაცია ნარჩუნდება ეუგლიკემიურ ფარგლებში მინიმალური ვარიაბელობით. ეგ ზოგენური გლუკოზის ის ინფუზირებული რაოდენობა

რომელიც საჭიროა ეუგლიკემიის შესანარჩუნებლად გამოხატავს პერიფერიულ ქსოვილებში მეტაბოლიზირებული გლუკოზის რაოდენობას (M), და შესაბამისად ასახავს პერიფერიული ქსოვილების სენსიტიურობას ინსულინისადმი (138). რაც უფრო მეტი გლუკოზის ინფუზია არის საჭირო დროის ერთეულში, მით უფრო სენსიტიურია სუბიექტი ინსულინის მიმართ. M-ის მნიშვნელი ჯანსაღ მოხალისეებში ვარირებს 4.7-დან 8.7-დე მგ X კგ⁻¹ X წთ⁻¹ (183, 184).

ეუგლიკემიური ჰიპერინსულინემიური კლემპი შეიძლება გამოვიყენოთ სხვა მეთოდისათვის ერთად. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს რადიოიზოტოპების გამოყენება (მაგ. ³H-3-გლუკოზა), რომელიც იძლევა ნარჩენი ენდოგენური გლუკოზის პროდუქციის რაოდენობრივი განსაზღვრის და, შესაბამისად, ღვიძლისმიერი თუ პერიფერიული ინსულინრეზისტენტობის დიფერენცირების საშუალებას (183, 185).

ეუგლიკემიური ჰიპერინსულინემიური კლემპი არის ყველაზე ხშირად გამოყენებადი მეთოდი კვლევებში. ის რეპროდუცირებადია მაღალი ხარისხით და აქვს დაბალი ვარიაბელობის კოეფიციენტი $6.3 \pm 0.9\%$ (183, 186). მისი რამოდენიმე უპირატესობა (186):

- 1) ინსულინრეზისტენტობის სახეობის ზუსტად განსაზღვრის საშუალება (ღვიძლისმიერი თუ პერიფერიული)
- 2) ჰიპერგლიკემიის წვლილის განსაზღვრა ღვიძლისმიერი გლუკოზის პროდუქციაში და გლუკოზის მოხმარებაში
- 3) ჰიპოგლიკემია და შესაბამისად გლუკაგონის არაფიზიოლოგიური სეკრეცია თავიდან არის აცილებული გლუკოზის უწყვეტი ინფუზიით რაც იძლევა ინსულინრეზისტენტობის შედარებით უფრო ფიზიოლოგიურ პირობებში განსაზღვრის საშუალებას

თუმცა ამ მეთოდსაც აქვს რამოდენიმე ნაკლი. პირველი, ის ძალიან ძვირადღირებული და ინვაზიური პროცედურაა, რომელიც საჭიროებს კარგად მომზადებულ სპეციალისტებს. მეორე, ჰიპერინსულინემია, რომელიც შენარჩუნებულია პროცედურის დროს, არ იძლევა მკაცრად ფიზიოლოგიური მდგომარეობის შექმნის საშუალებას (166). მეთოდის რთული ბუნებიდან გამომდინარე შედეგების ინტერპრეტაცია გართულებულია, განსაკუთრებით როცა საჭიროა შედეგების შედარება გლუკოზის (187) და ინსულინის

სხვადასხვა დონით (188). გარდა ამისა, კლემპიდან მიღებული მონაცემები არ იძლევა გლუკოზის ინსულინდამოკიდებული და ინსულინდამოუკიდებელი გამოყოფის დიფერენცირების საშუალებას. ეს განსხვავება მნიშვნელოვანია ჰიპერგლიკემიურ და ინსულინრეზისტენტულ მდგომარეობისას, როდესაც გლუკოზის არაინსულინდამოკიდებული მოხმარების პროპორცია უფრო მეტია (187).

13.7 ინტრავენური გლუკოზოტოლერანტული ტესტი ხშირი ნიმუშებით/ მინიმალური მოდელი არის ინსულინსენსიტიურობის განსაზღვრის მეორე ოქროს სტანდარტი. ეს მეთოდი თავიდან იცილებს გლუკოზის აბსორბციის და გასტროინტესტინური ჰორმონის სეკრეციის სტიმულაციის პრობლემას რადგანაც გლუკოზა მიეწოდება პაციენტს ინტრავენურად. გამოიყენება ორი მათემატიკური მოდელი, რომლებიც ხსნიან გლუკოზის მოხმარებას ინსულინის სეკრეციის ზრდის გარეშე (გლუკოზოეფექტურობა – S_g), და ინსულინდამოკიდებულ მოხმარებას ექსტრაცელულურ სითხიდან (ინსულინსენსიტიურობის ინდექსი – S_i). მეთოდი გულისხმობს გლუკოზის ბოლუს 0.3 გ / კგ წონაზე და ხშირ ნიმუშების აღებას (გლუკოზის და ინსულინის დონის განსაზღვრას) - 15, - 10, - 5, - 1, 0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 10, 12, 14, 16, 19, 22, 25, 30, 40, 50, 60, 70, 80, 90, 100, 120, 140, 160, და 180 წუთებზე. შემდეგ ხდება გლუკოზისა და ინსულინის მონაცემების მათემატიკური ინტერპრეტაცია და S_i -ს კალკულაცია მინიმალური მოდელით, რომელიც შექმნეს Bergman-მა და მისმა ჯგუფმა (189). S_i წარმოადგენს გლუკოზის მოხმარების ტემპს პლაზმის ინსულინის კონცენტრაციის ცვლილებასთან მიმართებაში. მისი მნიშვნელობებია 5-დან 7-დე $\mu\text{mol}^{-1} / \mu\text{ერთ მლ-ზე}$ ნორმალური წონით პაციენტებში და 2-დან 3.5-დე $\mu\text{mol}^{-1} / \mu\text{ერთ მლ-ზე}$ სიმსუქნით დაავადებულ პაციენტებში (190-192).

ასევე გამოიყენება ამ მეთოდის მოდიფიცირებული პროტოკოლი, რაც გულისხმობს ტოლბუტამიდის ინფუზიას გლუკოზის ინფუზიის დაწყებიდან 20 წუთის შემდეგ რათა უზრუნველყოფილი იყოს ენდოგენური ინსულინის ადექვატური პასუხი. ეს პროტოკოლი მოწოდებულია Beard et al.-ს მიერ (193) და, როგორც აღმოჩნდა, აძლიერებს კორელაციას S_i და ეუგლიკემიურ კლემპს შორის. ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ იმ სუბიექტებში

რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ ბეტა უჯრედების პასუხი სტიმულაციაზე. ამიტომ მაქრიანი დიაბეტი დაავადებულებში ტულბუტამიდის ნაცვლად გამოიყენება ინსულინი (194-198). ორივე პროტოკოლი კარგად კორელირებს ერთმანეთთან, თუმცა S_i (ინსულინი) უფრო დაბალია ვიდრე S_i (ტულბუტამიდი) და M მნიშვნელოვანი კლემპ-კვლევებიდან, ხაზი ესმევა რა ინსულინისენსიტიურობის არასაკმარისი შეფასებას ამ მოდელით (127, 196, 199). მიიჩნევა, რომ ეს ხდება ფიზიოლოგიის ზედმეტად გამარტივებს გამო მოდელში (200-203), და ჰიპერინსულინემიის ხანმოკლე პერიოდის გამო კლემპირებასთან შედარებით (196). ეს მეთოდი მისი თითქმის ფიზიოლოგიური ბუნების და ადვილად წარმოების გამო, ფართოდ გამოიყენება მულტიცენტრულ ეპიდემიოლოგიურ კვლევებში (204-207), რომლებმაც აჩვენეს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ასოციაცია S_i -ს და კარდიოვასკულურ რისკ ფაქტორებს შორის.

გამოიყენება აგრეთვე ამ მეთოდის შემცირებული ვერსია მხოლოდ 12 ნიმუშის ანალიზით (208). კორელაცია 30 და 12 ნიმუშის პროტოკოლებს შორის ძლიერია ($r = 0.9$) (209). თუმცა, მინიმალური მოდელი არ იძლევა ღვიძლისმიერი და პერიფერიული ინსულინრეზისტენტობის დიფერენცირებულად განსაზღვრის საშუალებას (209).

მოკლედ, ეს მეთოდი რჩება ინვაზიურ და ხანგრძლივ პროცედურად, საჭიროებს 30 ნიმუშის შემოწმებას 3 საათის მანძილზე და შემდგომ მასალის რთულ ანალიზს. გამომდინარე აქედან, ის არ გამოიყენება კლინიკურ პრაქტიკაში. ეს მეთოდი გამოსადეგია კვლევებში.

- Groop et al. (210) გამოთქვას მოსაზრება რომ ინსულინისენსიტიურობის განსაზღვრის იდეალური მეთოდი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- 1) უნდა მიიღწეოდეს ინსულინის მაღალი კონცენტრაცია გლუკოზის მეტაბოლიზმის სტიმულაციისთვის;
- 2) პერიფერიული და ღვიძლისმიერი ინსულინისენსიტიურობის დიფერენცირების საშუალება;
- 3) სტაბილური კონცენტრაციების გაზომვის საშუალება;
- 4) ჰიპერგლიკემიის დონე არ უნდა იყოს მკვეთრად არაფიზიოლოგიური

გარდა ამისა, იდეალური მეთოდი უნდა იყოს მარტივი შესასრულებლად, იაფი და მინიმალური რისკით პაციენტისთვის. სამწუხაროდ დღეს არსებული ვერცერთი მეთოდი ვერ პასუხობს ყველა მოთხოვნას. კლემპირების პროცედურა საუკეთესოა არსებულებს შორის კვლევებისთვის.

კლინიკურ კვლევებში და პრაქტიკაში უფრო ხშირად გამოიყენება ინსულინსენსიტიურობის განსაზღვრის ეგრეთ წოდებული კლინიკური სუროგატები: ინსულინრეზისტენტობის განსაზღვრის ჰომეოსტაზური მოდელი (HOMA-IR), ინსულინსენსიტიურობის განსაზღვრის რაოდენობრივი ინდექსი (QUICKI), მაკოლის ინდექსი (ინსულინსენსიტიურობის ინდექსი-ისი) და სხვები.

13.8 McAuley et al. (135) კვლევით დაადგინეს, რომ ინსულსენსიტიურობის საუკეთესო პრედიქტორები არიან უზმოდ გლუკოზა და ტრიგლიცერიდები. მეთოდი ემყარებოდა ეუგლიკემიურ ინსულინის კლემპს. პლაზმის გლუკოზის დონის შენარჩუნება ხდებოდა 4.5 მმოლ/ლ-ზე ფარგლებში. პლაზმის ინსულინის დონის განსაზღვრა ხდებოდა 0, 60, 90 და 120 წუთზე. გლუკოზის მოხმარების ტემპის (M) (მგ/კგ/წთ) გამოითვლებოდა კლემპირების ბოლო 60 წუთის განმავლობაში.

ინსულსენსიტიურობის ინდექსი (ინსრი) = $\exp [2.63 - 0.28 \ln (\text{უზმოდ ინსულინი}) - 0.31 \ln (\text{უზმოდ ტრიგლიცერიდი})]$,

სადაც \exp -ექსპონენტი, \ln -ლოგარითმი

ისი $\leq 6.3 \text{ M} \times \text{mU}^{-1} \times 1^{-1}$ განსაზღვრავს ინსულინრეზისტენტობას.

13.9 QUICKI (ინსულსენსიტიურობის რაოდენობრივი განსაზღვრის ინდექსი - ინსსრგი) ასევე ფართოდ გამოიყენება კლინიკურ პრაქტიკაში (190):

$\text{QUICKI} = 1 / [\log (\text{უზმოდ ინსულინი}) + \log (\text{უზმოდ გლუკოზა})]$,

სადაც უზმოდ ინსულინი იზომება $\mu\text{ერთ} / \text{მლ-ში}$, და უზმოდ გლუკოზა იზომება $\text{მგ} / \text{დლ-ში}$. საშუალო QUICKI შეადგენს 0.382, 0.331, 0.304 ნორმალური სხეულის მასის მქონე, სიმსუქნით დაავადებულ, და სიმსუქნით/შაქრიანი დაიბეგით დაავადებულ პაციენტებში, შესაბამისად (190).

მათემატიკური განსხვავება QUICKI-სა და HOMA-IR-ს შორის ის არის, რომ პირველი იყენებს გლუკოზის და ინსულინის ლოგარითმის შებრუნებულ

მნიშვნელს რათა ახსნას უზმოდ ინსულინის მნიშვნელების დახრილი (არასწორი) გავრცელება. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ორი მეთოდი კარგად კორელირებს ერთმანეთთან (157), განსაკუთრებით როდესაც HOMA-IR ლოგტრანსფორმირებულია (190, 211-213).

ზოგიერთმა კვლევამ ვერ დაადასტურა QUICKI-ს უპირატესობა ლოგტრანსფორმირებულ HOMA-IR-თან (211, 213), თუმცა რამდენიმე კვლევამ აჩვენა მისი უპირატესობა ინსულინსენსიტიურობის მნიშვნელობების უფრო ფართო ფარგლების პირობებში (157, 170, 212). QUICKI-მ აჩვენა კარგი კორელირება ივგტბნ-თან (214) და ეუგლიკემიურ კლემპთან (156). თუმცა კორელაცია სუსტია როდესაც ინსულინის დონე არის დაბალი, როგორც ეს არის ნორმალური მასის მქონე ინსულინსენსიტიურ პაციენტებში და შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში (ინსულინის დაქვეითებული პროდუქციით) (166, 169, 190, 211, 213, 215). ეს აიხსნება იმით, რომ ინსულინის დაბალი დონე იწვევს განსაზღვრული ინსულინის კონცენტრაციის ვარიაბელობას და აგრეთვე იმის გამო, რომ ჯანმრთელ პაციენტებში ინსულინის სეკრეციას აქვს ოსცილატორული ხასიათი. ამ მეთოდის ნაკლად ჩაითვლება ასევე მისი შეზღუდული გამოყენებადობა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის დროს ენდოგენური ინსულინის დეფიციტის გამო (190).

მოკლედ, QUICKI მარტივი და გამოსადეგი მეთოდია ინსულინსენსიტიურობის განსაზღვრისთვის ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩატარებისას და კლინიკურ პრაქტიკაში. მას ასევე აქვს მცირე უპირატესობა HOMA-IR-თან, განსაკუთრებით სიმსუქნით დაავადებულ პაციენტებში და შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში შედარებით შენარჩუნებული ბეტა უჯრედოვანი ფუნქციით. თუმცა მოდელი საჭიროებს დამატებით ვალიდაციას სხვადასხვა ტიპის გლუკოზოტოლერანტობის პირობებში რათა დადასტურდეს მისი სანდოობა კლინიკურ პრაქტიკაში და კვლევებში გამოსაყენებლად.

13.10 HOMA-IR მოდელი შექმნეს Matthews et al.(216) ინსულინრეზისტენტობის განსაზღვრისათვის უზმოდ გლუკოზის და ინსულინის მნიშვნელობების გამოყენებით (გრაფიკი 2 A).

HOMA-IR = უზმოდ ინსულინი X უზმოდ გლუკოზა / 22.5,

სადაც უზმოდ ინსულინი იზომება $\mu\text{ერთ/მლ-ში}$ და უზმოდ გლუკოზა იზომება მმოლ/ლ-ში

ან



$\text{HOMA-IR} = \text{უზმოდ ინსულინი} \times \text{უზმოდ გლუკოზა} / 405,$

სადაც უზმოდ ინსულინი იზომება $\mu\text{ერთ/მლ-ში}$ და უზმოდ გლუკოზა იზომება მგ/დლ-ში

ეს ფორმულები წარმოადგენს ორიგინალური არალინეარული დამოკიდებულების მათემატიკურ მიახლოებას.

HOMA2-IR-ს, კომპიუტერულ მოდელს, გააჩნია არალინეარული გადაწყვეტილება (გრაფიკი 2 B). HOMA მოდელის განახლებული ვერსია (1996) ითვალისწინებს ინსულინრეზისტენტობის დვიდლისმიერ და პერიფერიულ ვარიაბელობას (მაგ. დვიდლისმიერი გლუკოზის გამოყოფის შემცირების სუპრესია ჰიპერგლიკემიის პირობებში და პერიფერიაზე გლუკოზადამოკიდებული გლუკოზის მოხმარების შემცირება). მონივრულ იქნა ინსულინის სეკრეციის მრუდი და დაშვებულ იქნა ინსულინის სეკრეციის ზრდა გლუკოზის კონცენტრაციის ზრდის > 10 მმოლ/ლ საპასუხოდ. ეს ვერსია ითვალისწინებს აგრეთვე პროინსულინის სეკრეციას და აქედან გამომდინარე საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ საერთო ან სპეციფიური ინსულინის ანალიზი. მოდელი ასევე ითვალისწინებს გლუკოზის თირკმლისმიერ კარგვას ჰიპერგლიკემიურ პაციენტებში.

კომპიუტერული მოდელი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ინსულინენსიტიურობა (%S) და ბეტა უჯრედების ფუნქცია (%B) გლუკოზისა და ინსულინის, ან გლუკოზისა და სპეციფიური ინსულინის, ან გლუკოზისა და C-პეპტიდის გამოყენებით. ინსულინის დასაშვები კონცენტრაცია შეადგენს 20–400 $\mu\text{მოლ/ლ-დე}$ და C-პეპტიდის 3–25 მმოლ/ლ-დე . თუ ხელმისაწვდომია ორივე მონაცემი, ინსულინი და C-პეპტიდი, ლოგიკურია გამოვიყენოთ C-პეპტიდი ბეტა უჯრედების ფუნქციის შესაფასებლად (რადგანაც C-პეპტიდი



გრაფიკი 2: 1985 წლის HOMA მოდელი (A) და 1996 წლის HOMA მოდელი (B)

სეკრეციის მარკერია), და ინსულინი ინსულინსენსიტიურობის შესაფასებლად (რადგანაც HOMA-%S მიღებულია გლუკოზის მოხმარების გამოთვლით ინსულინის კონცენტრაციის შესაბამისად).

თუმცა, კლინიკურ პრაქტიკაში ჩვეულებრივ გამოიყენება გლუკოზა და ინსულინი ორივე ფუნქციის შესაფასებლად, რადგანაც C-პეპტიდის გამოყენების თეორიული უპირატესობა მცირდება მისი ფასით და დამატებითი ტექნიკური მოთხოვნებით.

თავის ორიგინალურ სტატიაში Matthews et al. აჩვენებს რომ ნორმალურ სუბიექტებში HOMA-IR-ს მნიშვნელობა მერყეობდა 1.21-დან 1.45-დე და ინსულინრეზისტენტულ პაციენტებში 2.61-დან 2.89-დე (216). თუმცა, დამატებითმა ეპიდემიოლოგიურმა კვლევებმა ცხადყო უფრო მაღალი მნიშვნელები: 2.1 (133), 2.7 (123) and 3.8 (33, 136). გამომდინარე იქიდან, რომ ინსულინის სეკრეციას აქვს პულსური ხასიათი, ლოგიკურია ანალიზისთვის რამოდენიმე ნიმუშის აღება 5 წუთიანი ინტერვალით, თუმცა კლინიკურ პრაქტიკაში იყენებენ მხოლოდ ერთ უზმოდ აღებულ ნიმუშს.

HOMA-IR კარგად კორელირებს ეუგლიკემიურ ჰიპერინსულინემიურ კლემპთან (146, 165, 217-219). ამას გარდა, სხვა ავტორებმა აღმოაჩინეს HOMA-IR-ს და ინსულინსენსიტიურობის ინდექსის (Si) კარგი კორელაცია (155, 220).

HOMA-IR-ს ერთერთი მთავარი შეზღუდვა ის არის რომ ღვიძლისმიერი და პერიფერიული ინსულინსენსიტიურობა განიხილება როგორც ექვივალენტური, მაშინ როდესაც კარგად არის ცნობილი რომ ერთიდაიმავე პაციენტში ისინი განსხვავდება (146).

ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, HOMA-IR-ს სიზუსტე ლიმიტირებულია ჰიპერგლიკემიით. კვლევებს, რომლებიც მიუთითებენ კარგ კორელაციაზე HOMA-IR-სა და კლემპ-მეთოდებს შორის, ჩართული ჰყავდათ პაციენტები გამოხატული ჰიპერგლიკემიის გარეშე (146, 165, 216, 218, 219, 221). Mari et al. (221) ვერ დაადასტურეს გამოხატული კორელაცია HOMA-IR-სა და კლემპ-მეთოდს შორის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში, რომლებსაც გლუკოზის მაღალი დონე ჰქონდათ (საშუალოდ 205 მგ/დლ). ამის გარდა, რიგ მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ კორელაცია მათ შორის მცირდება

გლუკოზის დონის მატებასთან ერთად (127, 222). ეს მონაცემები მიუთითებენ რომ HOMA-IR-სა და S_i შორის ურთიერთობა არააინფორმატიულია.

და ბოლოს, HOMA-IR არის ინსულინსენსიტიურობის განსაზღვრის ყველაზე გამოსადეგი მეთოდი ეუგლიკემიურ პაციენტებში და აგრეთვე შაქრიანი დიაბეტის მსუბუქი ფორმით დაავადებულ პაციენტებში. გამოხატული ჰიპერგლიკემიის და აგრეთვე გამხდარ, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში ბეტა უჯრედების დისფუნქციით, HOMA-IR არ არის ზუსტი.

13.11 ბენეტის (Bennett) ინდექსი (135, 156, 223) ასევე გამოიყენება კლინიკურ პრაქტიკაში როგორც ინსულინსენსიტიურობის განსაზღვრის მარტივი კლინიკური სუროგატი. ის კარგად კორელირებს ივგტტ/მინიმალურ მოდელთან (224). ინსულინსენსიტიურობა ამ შემთხვევაში უდრის:

$$1 / \ln(\text{ინსულინი უზომოდ}) \times \ln(\text{გლუკოზა უზომოდ})$$

13.12 ადიპონექტინ-რეზისტინის (არ) ინდექსი შემოგვთავაზა Lau და Muniandy-მ (225) და წარმოადგენს მეტაბოლური ჰომეოსტაზის და მეტაბოლური დაავადებების ახალ ინდიკატორს. ახალი ინსრ არ ინდექსი გულისხმობს არსებული ინსრ ინდექსის და ახალი არ-ინდექსის ინტეგრაციას.

ადიპონექტინი წარმოადგენს პოლიპეპტიდურ ჰორმონს რომელიც წარმოიქმნება ადიპოციტებში და მისი მოლეკულური მასა 30 კილოდალტონს შეადგენს (244 ამინომჟავა). ის მონაწილეობს მრავალ მეტაბოლურ პროცესში, არეგულირებს ინსულინსენსიტიურობას და ენერგოჰომეოსტაზს, და აგრეთვე გლუკოზისა და ლიპიდურ მეტაბოლიზმს (226). ჰორმონს აქვს პრინციპული როლი მეტაბოლური დარღვევების სურპრესიაში სხვადასხვა დაავადებების დროს (ინსულინრეზისტენტობა, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2, მეტაბოლური სინდრომი, და კარდიოვასკულური დაავადება) (227-229).

რეზისტინი წარმოადგენს მაკროფაგიდან წარმოქმნილ პოლიპეპტიდურ ჰორმონს. მისი მასა შეადგენს 12.5 კილოდალტონს (108 ამინომჟავა) (230). ადიპონექტინისგან განსხვავებით, რეზისტინს აქვს დაბალი კონცენტრაცია სისხლში (230). მისი კონცენტრაცია იზრდება ინსულინრეზისტენტობისას, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს, მეტაბოლური სინდრომისას და კარდიოვასკულური დაავადების დროს (231, 232).

ჰიპოადიპონექტინემიის (227-229) და ჰიპერრეზისტინემიის (230, 231) დამოხვევა ინსულინრეზისტენტობისას, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს და მეტაბოლური სინდრომისას კარგად არის ცნობილი. ასევე აღწერილია ლიტერატურაში მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია ადიპონექტინსა და რეზისტინს შორის (233, 234).

$$\text{არ-ინდექსი} = 1 + \log_{10} (\text{უზმოდ რეზისტინი}) - \log_{10} (\text{უზმოდ ადიპონექტინი})$$

$$\text{ინსრ-არ ინდექსი} = \log_{10} (I_0 G_0) + \log_{10} (I_0 G_0) \times \log_{10} (R_0 / A_0),$$

სადაც I_0 = უზმოდ ინსულინი $\mu\text{ერთ} / \text{მლ-ში}$;

G_0 = უზმოდ გლუკოზა $\text{მგ} / \text{დლ-ში}$;

R_0 = უზმოდ საერთო რეზისტინი $\text{ნგ} / \text{მლ-ში}$;

A_0 = უზმოდ საერთო ადიპონექტინი $\mu\text{გ} / \text{მლ-ში}$ (225).

არ-ინდექსი აღმოჩნდა ძლიერ ასოცირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის და მეტს-ის განვითარების რისკთან ვიდრე ჰიპოადიპონექტინემია და ჰიპერრეზისტინემია ცალცალკე. ინსრ-არ ინდექსი ნორმაში შეადგენს 3.265–3.538. მისი მინიმალური ზღვრული მაჩვენებელი ინსრ-თვის შეადგენს 3.538–3.955 (225). ახალი მეთოდი არის ინსრ-ის განსაზღვრის ხარჯთეფექტური და ზუსტი ბიომარკერი. მაგრამ ფართო გამოყენებამდე ის საჭიროებს ვალიდაციას სანდოობის თვალსაზრისით ოქროს სტანდარტთან, ეუგლიკემირიურ კლემპთან, შედარების საფუძველზე.

1.4 მეტაბოლური სინდრომი

1.4.1 განსაზღვრება

მეტს პირველად აღწერა Reaven-მა 1988 წელს (235). არსებობს მეტს-ის რამოდენიმე განსაზღვრება, რაც იწვევს გარკვეულწილად სირთულეებს სხვადასხვა კვლევების შედეგების შედარებისას (216, 236-241) (ცხრილი 1-2). ყველაზე ხშირად გამოიყენება ქოლესტერინის ნაციონალური საგანმანათლებლო პროგრამა მოზრდილთა მკურნალობის პანელი-III (მმპ-III)-ის და დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის (დსფ) დეფინიციები. მმპ-III ფოკუსირებს აკეთებს ძირითადად კარდიოვასკულურ დაავადებათა რისკზე, და არ გულისხმობს ინსულინის ან გლუკოზის მეტაბოლიზმის დარღვევების არსებობის აუცილებლობას; თუმცა, დარღვეული გლიკემია არის ერთ-ერთი კრიტერიუმი. მმპ-III-ის განახლება მოხდა 2005 წელს ამერიკის გულის ასოციაციის/გულის, ფილტვის და სისხლის ინსტიტუტის მიერ. განახლება მოიცავდა შემდეგს:

- გლიკემიის ქვედა ზღვარის დაწევა 100 მგ/დლ-დე, რაც შეესაბამება ამერიკის დიაბეტის ასოციაციის განმარტებას უზმოდ დარღვეული გლიკემიის შესახებ
- შაქრიანი დიაბეტის მკაფიოდ ჩართვა განსაზღვრების ჰიპერგლიკემიის ნაწილში
- მედიკამენტების გამოყენების მკაფიო განსაზღვრება დისლიპიდემიის ან არტერიული ჰიპერტენზიის დროს

აშშ-ში ჩატარებული კვლევის მიხედვით (1999-2002 წლების მონაცემთა ბაზა), ზრდასრული მოსახლეობის 39%-ს აღენიშნებოდა მეტს (IDF-ს კრეტერიუმები), მაშინ როდესაც მმპ-III-ის კრიტერიუმების გამოყენებით ეს მაჩვენებელი შეადგენდა 34.5%-ს (242). პროგნოზისა და მენეჯმენტის ტაქტიკის განსაზღვრის თვალსაზრისით ორივე კლასიფიკაციას გააჩნდა მსგავსი ღირებულება (243-245).

ჯანმო-ს, მმპ-III-ს, AACE-ს და IDF-ს დეფინიცია შეიცავს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ს როგორც ერთ ერთ შესაძლო კომპონენტს. ექსპერტთა ნაწილი არ ეთანხმება რომ მეტს უნდა შეიცავდეს შაქრიან დიაბეტს, რადგანაც სინდრომის კლინიკური მნიშვნელობა არის, რომ ის განსაზღვრავს

ცხრილი 1. მეტაბოლური სინდრომის განსაზღვრება

პარამეტრი	NCEP ATP-III (2005)	IDF (2005)	AACE (2003)	EGIR (1999)	WHO (1999)
აუცილებელია		წგ ¹ ≥ 94სმ (მ) და ≥ 80 სმ (ქ)	ინსრ-ის მაღალი რისკი ² ან სმი ³ ≥ 25 კგ/მ ² ან წგ ≥ 102 სმ (მ) და 88 სმ (ქ)	ინსრ ან ჰიპერინსულინემია უზმოზე	ინსრ ან გლუკოზა უზმოზე ≥ 6.1 მმოლ/ლ (110 მგ/დლ) ან გლუკოზა დ.შ. ≥ 7.8 მმოლ/ლ (140 მგ/დლ)
მეტს-ის ⁴ შემადგენელი ნაწილები	ნებისმიერი ≥ 3:	და ნებისმიერი ≥ 2:	და ნებისმიერი ≥ 2:	და ნებისმიერი ≥ 2:	და ნებისმიერი ≥ 2:
გლუკოზა	უზმოზე ≥ 5.6 მმოლ/ლ (100 მგ/დლ) ან მედიკამენტოზური მკურნალობა მომატებული ციფრების გამო	უზმოზე ≥ 5.6 მმოლ/ლ (100 მგ/დლ) ან დიაგნოსტირებული შაქრიანი დიაბეტი	უზმოზე ≥ 6.1 მმოლ/ლ (110 მგ/დლ) ან გლუკოზა დ.შ. ≥ 7.8 მმოლ/ლ (140 მგ/დლ)	6.1 – 6.9 მმოლ/ლ (110 – 125 მგ/დლ)	
მსლ-ქ ⁵	< 1.0 მმოლ/ლ (40 მგ/დლ) – (კ), < 1.3 მმოლ/ლ (50 მგ/დლ) – (ქ) ან მედიკამენტოზური მკურნალობა დაბალი ციფრების გამო	< 1.0 მმოლ/ლ (40 მგ/დლ) – (კ), < 1.3 მმოლ/ლ (50 მგ/დლ) – (ქ) ან მედიკამენტოზური მკურნალობა დაბალი ციფრების გამო	< 1.0 მმოლ/ლ (40 მგ/დლ) – (კ), < 1.3 მმოლ/ლ (50 მგ/დლ) – (ქ) ან მედიკამენტოზური მკურნალობა დაბალი ციფრების გამო	< 1.0 მმოლ/ლ (40 მგ/დლ) ან მედიკამენტოზური მკურნალობა დაბალი ციფრების გამო	< 0.9 მმოლ/ლ (35 მგ/დლ) – (კ), < 1.0 მმოლ (40 მგ/დლ) – (ქ) ან მედიკამენტოზური მკურნალობა დაბალი ციფრების გამო
ტრიგ ⁶	≥ 1.7 მმოლ/ლ (150 მგ/დლ) ან მედიკამენტოზური მკურნალობა მაღალი ციფრების გამო	≥ 1.7 მმოლ/ლ (150 მგ/დლ) ან მედიკამენტოზური მკურნალობა მაღალი ციფრების გამო	≥ 1.7 მმოლ/ლ (150 მგ/დლ) ან მედიკამენტოზური მკურნალობა მაღალი ციფრების გამო	≥ 2.0 მმოლ/ლ (180 მგ/დლ) ან მედიკამენტოზური მკურნალობა მაღალი ციფრების გამო	≥ 1.7 მმოლ/ლ (150 მგ/დლ) ან მედიკამენტოზური მკურნალობა მაღალი ციფრების გამო
სიმსუქნე	წგ ⁷ ≥ 102 სმ (კ) და ≥ 88 სმ (ქ)			წგ ≥ 94 სმ (კ) და ≥ 80 სმ (ქ)	წ/ბ თანაფარდობა ⁸ > 0.9 (კ) და > 0.85 (ქ) ან სმი ≥ 30 კგ/მ ²
არტერიული ჰიპერტენზია	≥ 130/85 მმ.ვ.წ.სვ. ან მედიკამენტოზური მკურნალობა აჰ-ის გამო	≥ 130/85 მმ.ვ.წ.სვ. ან მედიკამენტოზური მკურნალობა აჰ-ის გამო	≥ 130/85 მმ.ვ.წ.სვ. ან მედიკამენტოზური მკურნალობა აჰ-ის გამო	≥ 140/90 მმ.ვ.წ.სვ. ან მედიკამენტოზური მკურნალობა აჰ-ის გამო	≥ 140/90 მმ.ვ.წ.სვ. ან მედიკამენტოზური მკურნალობა აჰ-ის გამო
მიკროალბუმინურია					+

NCEP ATP-III ქოლესტერინის ნაციონალური საგანმანათლებლო პროგრამა მოზრდილთა მკურნალობის პანელი-III (მმპ-III)

IDF დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია (დსფ)

AACE ამერიკის კლინიკურ ენდოკრინოლოგთა ასოციაცია (აკეა)

EGIR ინსულინრეზისტენტობის კვლევის ევროპის ჯგუფი (ირკეჯ)

WHO ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო)

¹წგ – წელის გარშემოწერილობა; სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის პოპულაციისთვის: ≥ 90 სმ (კ) და ≥ 80 სმ (ქ)

²ინსრ-ის მაღალი რისკი – ინსულინრეზისტენტობის მაღალი რისკი; ნებისმიერი ≥ 1 არსებობისას: დიაგნოსტირებული კარდიოვასკულური დაავადება; არტერიული ჰიპერტენზია; პოლიკისტოზური საკვერცხეების სინდრომი; არაალკოჰოლური ცხიმოვანი ჰეპატოზი ან acanthosis nigricans; შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2ს და/ან არტერიული ჰიპერტენზიის და/ან კარდიოვასკულური დაავადების ოჯახური ანამნეზი; ანამნეზში - გესტაციური დიაბეტი ან გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევა; არაევროპეიდული რასა; წგ ≥ 94 სმ (კ) და ≥ 80 სმ (ქ); ასაკი ≥ 40

³სმი – სხეულის მასის ინდექსი

⁴მეტს – მეტაბოლური სინდრომი

⁵მსლ – მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინ ქოლესტერინი

⁶ტრიგ – ტრიგლიცერიდი

⁷წგ – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის პოპულაციისთვის: ≥ 90 სმ (კ) და ≥ 80 სმ (ქ)

⁸წ/ბ თანაფარდობა – წელის და ბარძაყის გარშემოწერილობის თანაფარდობა

ცხრილი 2. წელის გარშემოწერილობის ეთნიკ-სპეციფიური მაჩვენებლები როგორც ცენტრალური სიმსუქნის კრიტერიუმი

ქვეყანა/ეთნიკური ჯგუფი		წელის გარშემოწერილობა
ევროპეიდული რასა ¹	კაცი	≥ 94 სმ
	ქალი	≥ 80 სმ
სამხრეთ აზია	კაცი	≥ 90 სმ
	ქალი	≥ 80 სმ
ჩინეთი	კაცი	≥ 90 სმ
	ქალი	≥ 80 სმ
იაპონია ²	კაცი	≥ 85 სმ
	ქალი	≥ 90 სმ
ეთნიკური ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკელები		გამოიყენება სამხრეთ აზიის მაჩვენებლები ახალი მონაცემების მიღებამდე
სუბ-სახარის აფრიკელები		გამოიყენება ევროპეიდული მაჩვენებლები ახალი მონაცემების მიღებამდე
ადმოსავლეთ ხმელთაშუაზღვა და შუა აზია		გამოიყენება ევროპეიდული მაჩვენებლები ახალი მონაცემების მიღებამდე

¹დღესდღეობით გამოიყენება მმპ-III-ის მაჩვენებლები: ≥ 102 სმ (კ), ≥ 88 სმ (ქ)
²ბოლო მონაცემებით იაპონურ პოპულაციაში უნდა იყოს გამოყენებული სამხრეთ აზიის მაჩვენებლები

პაციენტებს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების მომატებული რისკით. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით დაავადებულთა უმრავლესობას აქვს მეტს-ის ნიშნები, რაც მიაკუთვნებს მათ მაკროვასკულური და არა მიკროვასკულური გართულებების მომატებული რისკის მქონე პაციენტთა რიცხვს (246).

მეტს ასოცირებულია რამოდენიმე სიმსუქნესთან დაკავშირებულ პათოლოგიასთან:

- ღვიძლის ცხიმოვანი ჰეპატოზი, ფიბროზი, ციროზი (247-249)
- თირკმლების ქრონიკული დაავადება, განსაზღვრული როგორც გლომერულური ფილტრაციის დაქვეითება < 60 მლ/წთ და მიკროალბუმინურია (250, 251)
- პოლიკისტოზური საკვერცხეების სინდრომი (252)
- ძილის ობსტრუქციული აპნოე (253, 254)
- ჰიპერურიკემია და პოდაგრა (255, 256)

14.2 სიხშირე

მეტს-ის გავრცელების სიხშირე სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით. აშშ-ში ჩატარებული (1988-დან 1994 წლამდე) კვლევის (ეროვნული ჯანმრთელობისა და ნუტრიციის შემოწმების კვლევა) მიხედვით, რომელიც მოიცავდა 8814 ზრდასრულ პაციენტს, მეტს-ის საერთო სიხშირემ 22% შეადგინა, ასაკ-დამოკიდებული ზრდით (257). მექსიკური წარმოშობის ამერიკელებს ჰქონდათ ყველაზე მაღალი სიხშირე – 31.9%. აფრო-ამერიკელებში და მექსიკური წარმოშობის ამერიკელებში, მეტს-ის სიხშირე უფრო მაღალი იყო ქალებში ვიდრე მამაკაცებში (57% და 26%, შესაბამისად).

საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვით, სიხშირემ შეადგინა 23.16% (9). მეტს-ის გავრცელების სიხშირე იზრდება. ამერიკის ნაციონალური ჯანმრთელობისა და ნუტრიციის შემოწმების კვლევის მონაცემების (1999-2002 წლები) შედარება იგივე კვლევის სხვა წლებთან (1988-1994) აჩვენებს, რომ სიხშირემ მოიმატა 22%-დან 34.5%-დე (242, 257). ასევე საინტერესოა ფრემინგემის გულის კვლევის მონაცემები, სადაც მონაწილეობდა 3323 პაციენტი 22-დან 81 წლამდე, რომლებსაც არ აღენიშნებოდათ შაქრიანი დიაბეტი ან კარდიოვასკულური დაავადება საწყის ეტაპზე. დასაწყისში მეტს-

ის სიხშირემ 26.8% შეადგინა კაცებში და 16.6% ქალებში. რვა წლის შემდეგ აღინიშნებოდა სიხშირის 56%-იანი ზრდა მამაკაცებში და 47%-იანი ზრდა ქალებში (258).

მომატებული სმი წარმოადგენს მეტს-ის ერთერთ მთავარ რისკ-ფაქტორს. ამერიკის ეროვნული ჯანმრთელობისა და ნუტრიციის შემოწმების კვლევის მონაცემების მიხედვით, მეტს აღინიშნებოდა ნორმალური სმი-ის მქონე 5%-ში, ჭარბწონიანების 22%-ში და სიმსუქნით დაავადებულ 60%-ში (259). ამ კვლევაში მეტს-ის განვითარების მომატებულ რისკთან, ასაკის, რასის და წონის გარდა, ასოცირებული იყო პოსტმენოპაუზა, თამბაქოს მოხმარება, დაბალი შემოსავალი, დიეტა ნახშირწყლების მაღალი შემცველობით და უმოდრო ცხოვრების წესი (259). ფრემინგემის კვლევაში უაღკოპოლო გაზიანი სასმელების მიღება ასევე დაკავშირებული იყო მეტს-ის განვითარების მომატებულ რისკთან (260). ანტიფსიქოზური პრეპარატების გამოყენება, განსაკუთრებით კლოზაპინის, ასევე მნიშვნელოვნად ზრდის მეტს-ის განვითარების რისკს (261). კარდიორესპირატორული უკმარისობა წარმოადგენს მეტს-ის დამოუკიდებელ და ძლიერ პრედიქტორს, როგორც მამაკაცებში ასევე ქალებში (262). ოჯახური ანამნეზი შესაძლოა განაპირობებდეს მეტს-ის კომპონენტების განვითარების ვარიაციის 50%-ს (263-266).

1.5 მეტს-ის და ინსრ-ის მკურნალობა

მმპ-III გამოყოფს მეტს-ის მკურნალობის ორ მთავარ თერაპიულ მიზანს (238), რაც აგრეთვე განმტკიცებულია ამერიკის გულის ასოციაციის, ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის და ენდოკრინული საზოგადოების კლინიკური გაიდლაინებით (240, 267, 268):

- მიზეზების მკურნალობა (ჭარბი წონა/სიმსუქნე და უმოდრო ცხოვრების წესი) – წონის მენეჯმენტის ინტენსიფიკაცია და მომატებული ფიზიკური აქტივობა
- კარდიოვასკულური რისკის მკურნალობა თუ ის კვლავ პერსისტირებს მიუხედავად ცხოვრების წესის მოწესრიგებისა

შესაძლებელია ინსრ-ის მკურნალობა მედიკამენტებით რომლებიც აძლიერებენ ინსულინის მოქმედებას, თუმცა არ არსებობს მყარი მტკიცებულება, რომ ასეთი მიდგომა აუმჯობესებს გამოსავალს ცხოვრების წესის მოწესრიგებასთან (წონის დაკლება, ფიზიკური აქტივობა) შედარებით (269, 270).

1.5.1 ცხოვრების წესის მოწესრიგება

სიმსუქნის (განსაკუთრებით აბდომინური) პრევენცია ან შემცირება არის მეტს-ის მკურნალობის ძირითადი მიზანი (271, 272). წონის კორექციის მნიშვნელობა მეტს-ის პროგრესირების პრევენციაში ნათლად ჩანს კვლევაში – კორონარული არტერიის რისკის განვითარება ახალგაზრდებში (CARDIA) (273). ამ კვლევაში 5115 ახალგაზრდას (18-დან 30 წლამდე) აკვირდებოდნენ 15 წლის მანძილზე. აღმოჩნდა რომ სხეულის მასის ზრდა ასოცირებული იყო მეტს-ის კომპონენტების პროგრესირებასთან იმ ახალგაზრდებთან შედარებით რომლებმაც შეინარჩუნეს სტაბილური სმი, მიუხედავად საწყისი სმი-სა.

1.5.2 დიეტა

მეტს-ის მკურნალობისთვის მოწოდებულია რამდენიმე დიეტური სქემა. მეტაბოლური სინდრომით დაავადებულ პაციენტთა უმრავლესობას აღენიშნება ჭარბი წონა, და წონის შემცირება, რომელიც აუმჯობესებს მგრძობელობას ინსულინის მიმართ, არის ნებისმიერი დიეტური მიდგომის უმნიშვნელოვანესი მიზანი. რამდენიმე რეკომენდებული სპეციფიური დიეტა:

- ხმელთაშუა ზღვის დიეტა შესაძლოა იყოს სასარგებლო (274-277). კვლევაში რომელიც ადარებდა ხმელთაშუა ზღვის დიეტას (ხილის, ბოსტნეულის, კაკლის, ზეთუნის ზეთის მაღალი შემცველობით) ტრადიციულ დაბალციხიმოვან დიეტას, პაციენტებს ხმელთაშუა ზღვის დიეტის ჯგუფში აღენიშნებოდა წონის მეტი კლება, უფრო დაბალი არტერიული წნევა, გაუმჯობესებული ინულირეზისტენტობა, ანთებითი მარკერების და ენდოთელური დისფუნქციის უფრო დაბალი მაჩვენებლები ვიდრე საკონტროლო ჯგუფში.

- დმჰშ (დიეტური მიდგომა ჰიპერტენზიის შესაჩერებლად)-დიეტა (DASH diet), რომელიც გულისხმობს სუფრის მარილის მიღების შეზღუდვას 2400 მგ-დე და რძის პროდუქტების უფრო მეტი რაოდენობით მიღებას, აღმოჩნდა უფრო ეფექტური ვიდრე ტრადიციული დაბალციხიმოვანი დიეტა ტრიგლიცერიდების დონის, დიასტოლური წნევის და უზმოდ გლიკემიის დონის შესამცირებლად, წონის კლების კონტროლის შემდეგაც კი (278).
- დიეტამ დაბალი გლიკემიური ინდექსით შესაძლოა გააუმჯობესოს გლიკემია და დისლიპიდემია (279). დიეტა დაბალი გლიკემიური ინდექსით/გლიკემიური დატვირთვით ცვლის რაფინირებულ მარცვლეულს არარაფინირებულთ, ხილით და ბოსტნეულით, და აგრეთვე კრძალავს მაღალ გლიკემიურ სასმელებს. ასეთი დიეტა შესაძლოა ეფექტური იყოს პაციენტებისათვის მეტს-ით.

1.5.3 ვარჯიში

ვარჯიში, წონის კლების გარდა, სასარგებლოა იმიტაც რომ სელექციურად ამცირებს აბდომინურ სიმსუქნეს, განსაკუთრებით ქალებში (280). მიმდინარე გაიდლაინები რეკომენდაციას იძლევიან რეგულარული და ზომიერი ფიზიკური ვარჯიშის სასარგებლოდ. სტანდარტულად რეკომენდებულია დღეში მინიმუმ 30 წუთიანი საშუალო ინტენსივობის ვარჯიში (მაგ. სწრაფი სიარული). ფიზიკური აქტივობის დონის გაზრდა იძლევა დამატებით სარგებელს (281).

1.5.4 ორალური ჰიპოგლიკემიური პრეპარატები

- მეტფორმინმა შეიძლება შეაფერხოს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარება პაციენტებში დარღვეული ტოლერანტობით გლუკოზის მიმართ. დიაბეტის პრევენციის პროგრამის კვლევაში მეტფორმინი, დიეტა და ფიზიკური ვარჯიში ასოცირებული იყო დიაბეტის განვითარების რისკის 31%-იან შემცირებასთან პლაცებოსთან შედარებით (სამი წლის მანძილზე დიაბეტი განვითარდა 22%-ში; პლაცებოს ჯგუფში კი 29%-ში). თუმცა, მეტფორმინი აღმოჩნდა

ნაკლებად ეფექტური ვიდრე ცხოვრების წესის ინტენსიური მოდიფიკაცია (22% 14%-ს საწინააღმდეგოდ) (270). ორივე ჩარევა, მეტფორმინით მკურნალობა და ცხოვრების წესის მოდიფიცირება, ეფექტური აღმოჩნდა მეტს-ის პრევენციის თვასაზრისით (282). გაერთიანებული სამეფოს დიაბეტის პროსპექტულ კვლევაში (UKPDS) მეტფორმინით მკურნალობა ასოცირებული იყო დაიბეტთან დაკავშირებული საბოლოო შედეგების (უეცარი სიკვდილი, ჰიპო/ჰიპერგლიკემიასთან დაკავშირებული სიკვდილი, მიოკარდიუმის ინფარქტი, სტენოკარდია, გულის უკმარისობა, ინსულტი, კიდურების ამპუტაცია და რეტინოპათია) და ნებისბიერი მიზეზის გამო სიკვდილობის (ტრადიციულ თერაპიასთან შედარებით) მნიშვნელოვან შემცირებასთან (283).

- თიაზოლიდინდიონებს ასევე შეიძლება გააჩნდეთ პროტექტიული თვისებები. DREAM (დიაბეტის შემცირება - რამიპრილის და როსიგლიტაზონის კვლევა) კვლევაში როსიგლიტაზონი 8 მგ/დღეში სამი წლის მანძილზე ამცირებდა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის ახალი შემთვევების სიხშირეს 60%-ით იმ პაციენტებში, რომლებსაც საწყის ეტაპზე აღენიშნებოდა უზმოდ დარღვეული გლიკემია ან ტოლერანტობის დარღვევა გლუკოზისადმი (284). მაგრამ უცნობია შენარჩუნდა თუ არა ეს შედეგი პრეპარტის მიღების შეწყვეტის შემდეგ. ასევე არ არსებობს მყარი მონაცემები რომ თიაზოლიდინდიონები ამცირებენ კარდიოვასკულურ საბოლოო შედეგებს, განსაკუთრებით პაციენტებში მეტს-ით. ასევე აღსანიშნავია რომ როსიგლიტაზონი შეიძლება ასოცირებული იყოს მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების მომატებულ სიხშირესთან. არ არსებობს გლიკემიური კონტროლის სამიზნე ციფრები მეტს-ით დაავადებულ პაციენტებში და რომლებსაც არ აქვთ შაქრიანი დიაბეტი. მიმდინარე რეკომენდაციები გულისხმობს უზმოდ დარღვეული გლიკემიის და ტოლერანტობის დარღვევის წონის კლებით მკურნალობას (5-10%-დე საწყისთან შედარებით). ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ზომიერი ფიზიკური დატვირთვა და შესაბამისი დიეტა (დაბალკალორიული, გაჯერებული ცხიმების, ქოლესტერინის და მარტივი ნახშირწყლების დაბალი შემცველობით; ხოლო ხილის, ბოსტნეულის და

არარაფინირებული მარცვლეულის მაღალი შემცველობით). არ არის რეკომენდებული დიაბეტის განვითარების რუტინული ფარმაკოპრევენცია ნებისმიერი პრეპარატით. თუმცა, მეტფორმინი შეიძლება გამოვიყენოთ ზოგიერთ პაციენტებში უზომოდ დარღვეული გლიკემიით ან ტოლერანტობის დარღვევით (285).

1.5.5 კარდიოვასკულური რისკის შემცირება

მოიცავს შემდეგს:

- არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობა
- თამბაქოსთვის თავის დანებება
- გლიკემიური კონტროლი შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში
- ლიპიდური ცვლის მოწესრიგება მოქმედი გაიდლაინების მიხედვით (286, 287).

მმპ-III რეკომენდაციას იძლევა კარდიოვასკულური დაავადებების პროფილაქტიკისათვის შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით დაავადებულ პაციენტებში დსლ სამიზნე ციფრად დავსახოთ < 100 მგ/დლ (2.6 მმოლ/ლ) (238), თუმცა შემდგომმა კვლევებმა დაადასტურა უფრო აგრესიული სამიზნე ციფრების, < 70 მგ/დლ (1.82 მმოლ/ლ), ეფექტურობა. არსებული მტკიცებულებები არ განიხილავენ მეტს-ს კორონარული არტერიების დაავადების ექვივალენტად (288). თუმცა, ერთერთმა სკანდინავიურმა კვლევამ (Scandinavian Simvastatin Survival Study – 4S) აჩვენა, რომ იმ პაციენტებს, რომლებსაც ჰქონდათ მეტს-ის მახასიათებლები (ყველაზე დაბალი კვარტილი მსლ-ს და ყველაზე მაღალი კვარტილი ტრიგლიცერიდების) აღენიშნებოდათ როგორც ყველაზე მაღალი რისკი კორონარული დაავადების ასევე ყველაზე მაღალი სარგებელი სტატინით მკურნალობისას (289, 290).

არაცალსახა მოსაზრებებია იმის შესახებ თუ რამდენად შეიძლება შეამციროს ინსრ-ის განვითარება და პროგრესირება აგფ-ს ინჰიბიტორებმა და ანგიოტენსინ-II რეცეპტორის ბლოკერებმა რომლებიც ფართოდ გამოიყენება არტერიული ჰიპერტენზიის სამკურნალოდ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს. არტერიული ჰიპერტენზიის კონტროლი ძალზე მნიშვნელოვანია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში. სამიზნე

ციფრი ამ დროს უფრო დაბალია ვიდრე ზოგადად პოპულაციაში და დამოკიდებულია იმაზე აქვს თუ არა პაციენტს თანდართული დიაბეტური ნეფროპათია და პროტეინურია. არ არსებობს მყარი მტკიცებულება, საჭიროა თუ არა იგივე სამიზნე ციფრი გამოვიყენოთ მეტს-ით დაავადებულ პაციენტებში, თუმცა, ექსპერტების აზრით გონივრულია ასეთი სამიზნე ციფრი. ასევე არ არსებობს მყარი მტკიცებულება იმის შესახებ თუ რამდენად ღირებულია აგვ ინჰიბიტორების და ანგიოტენსინ-II რეცეპტორის ბლოკერის გამოყენება არტერიული ჰიპერტენზიის სამკურნალოდ მეტს-ით დაავადებულ პაციენტებში რომლებსაც არ აქვთ თანდართული კარდიოვასკულური დაავადება ან შაქრიანი დიაბეტი.

1.5.6 ახალი ტექნოლოგიები: ლეპტინით მკურნალობა

ლეპტინი იყო პირველი აღმოჩენილი ადიპოკინი (ცხიმოვანი ქსოვილიდან წარმოქმნილი ჰორმონი). ეს აღმოჩენა იყო ახალი შეხედულებების მაუწყებელი, კერძოდ, იმის რომ ცხიმოვანი ქსოვილი არ არის მხოლოდ ენერჯის პასიური დეპო, არამედ ენდოკრინული ორგანო. სამწუხაროდ, ლეპტინი არ აღმოჩნდა ეფექტური სიმსუქნის სამკურნალოდ, რადგანაც ასეთ პაციენტებს აქვთ ენდოგენური ლეპტინის მაღალი დონე (291), როგორც მომატებული ცხიმოვანი ქსოვილის მახასიათებელი, და არ პასუხობენ ეგზოგენურ ლეპტინზე (292). ანალოგიურად, ინსრ-ით პაციენტებში, რომლებსაც აქვთ ჰიპერინსულინემია, არ არის ეფექტური ინსულინი. შემდგომში ლეპტინით მკურნალობა გამოყენებულ იქნა ლიპოდისტროფიის, რომელიც ხასიათდება ლეპტინის უკმარობით, სამკურნალოდ. გამომდინარე იქიდან რომ ლეპტინი წარმოიქმნება ადიპოციტებში და ასეთ პაციენტებს აღენიშნებათ ცხიმოვანი ქსოვილის დეფიციტი, ლიპოდისტროფიულ პაციენტებს აქვთ ლეპტინის ძალიან დაბალი დონე. პირველი პაციენტის მკურნალობა განხორციელდა 2000 წელს მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესებით. მომდევნო 13 წელი ლეპტინით ჩანაცვლებითმა მკურნალობამ ასეთ პაციენტებში შეამცირა საკვების მიღება ნახევრად (293, 294), გააუმჯობესა ძირითადი მეტაბოლური დარღვევები, მათ შორის ინსრ (294-296) და დიაბეტი (297, 298). ლეპტინით ჩანაცვლებითი მკურნალობა ლიპოდისტროფიების დროს ამცირებს ჰიპერტრიგლიცერიდემიას და დსლ

დონეს, მაგრამ არ ცვლის მსლ დონეს. გარდა ამისა, ის ამცირებს ექტოპიურ ლიპიდურ დეპოს, მათ შორის ამცირებს კუნთის და ღვიძლის ტრიგლიცერიდებს (294), და ასევე ამცირებს არაალკოჰოლური სტეატოჰეპატიტის შეფასების პათოლოგიურ ქულას (299). ლექტინი აუმჯობესებს აგრეთვე რეპროდუქციულ სტატუსს მალუთეინიზირებელი ჰორმონის სეკრეციის აღდგენის ხარჯზე (300).

ინსულინის რეცეპტორების მიმართ აუტოანტისხეულების იმუნური თერაპია
ტიპი B ინსრ-ბა განპირობებულია მოცირკულირე აუტოანტისხეულებით ინსულინის რეცეპტორის მიმართ. შედეგად ვიღებთ უკიდურეს ინსრ-ას და ჰიპერგლიკემიას რომელიც რეფრაქტორულია ეგზოგენური ინსულინის ძალიან მაღალი დოზების მიმართ (20.000 ერთ-დე დღეში).

2010 წლიდან დაიწყო მკურნალობა მონოკლონური ანტისხეულებით რომლებიც ანადგურებენ აუტოანტისხეულებს ინსულინის რეცეპტორის მიმართ (301). მეორე მიდგომა არის პულსური სტეროიდოთერაპია რომელიც თრგუნავს ანტისხეულების წარმოქმნას. მესამე მიდგომას წარმოადგენს იმუნოდეპრესანტების მცირე დოზით გამოყენება. პაციენტის მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით, გამოიყენება მონო ან კომბინირებული თერაპია.

1.6 ინსულინრეზისტენტობა და მეტაბოლური სინდრომი როგორც სოციალურ-ეკონომიური პრობლემა

მეტს-ის გავრცელება საქართველოში შეადგენს 23.16%-ს (9). პაციენტებს მეტს-ით სამჯერ უფრო მეტი აქვთ მიოკარდიუმის ინფარქტის ან ინსულტის განვითარების რისკი და ორჯერ უფრო მეტია სიკვდილის რისკი ამ დაავადებებისგან ვიდრე ამ სინდრომის გარეშე. მათ ასევე 5-ჯერ უფრო მეტი აქვთ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების რისკი.

სიმსუქნის გავრცელებამ მიაღწია ეპიდემიურ პროპორციებს და მისი სიხშირე და ეკონომიური ტვირთი სულ უფრო იზრდება (302). ზრდასრულთა სიმსუქნემ აშშ-ში თითქმის გასამმაგდა 15%-დან (1970-იანი წლები) 39.5%-დე საშუალო ასაკის მოზრდილებში (2012 წელი) (303). კიდევ უფრო საგანგაშოა ის ფაქტი რომ იგივე პერიოდში მოხდა მოზარდთა სიმსუქნის სიხშირის გასამმაგება (5%-დან 17%-დე) (303).

ინსრ წარმოადგენს გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევის, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის და კორონარული არტერიების დაავადების განვითარების ზოგად საფუძველს. სიმსუქნის სიხშირის ზრდასთან ერთად იზრდება შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების სიხშირე. ამჟამად აშშ-ში მისი სიხშირე შეადგენს ზრდასრული მოსახლეობის 8.3%-ს (10). აშშ-ში შაქრიანი დიაბეტი წარმოადგენს სიკვდილის მეშვიდე ძირითად მიზეზს. გლობალურად, იმ 200 მილიონი დაავადებული პაციენტებისგან 80% დაიღუპება კარდიოვასკულური დაავადების გამო. შაქრიანი დიაბეტი არის თირკმელების ტერმინალური დაავადების და სიბრძავის წამყვანი მიზეზი აშშ-ში. პაციენტებს შაქრიანი დიაბეტით აქვთ გულის დაავადებისა და ინსულტის განვითარების გაცილებით მეტი რისკი; ასევე მაღალია ნეიროპათიის და განგრენის განვითარების რისკი.

კორონარული არტერიების დაავადება არის სიკვდილობის წამყვანი მიზეზი აშშ-ში და უმრავლეს განვითარებულ ქვეყნებში. აშშ-ში კორონარული არტერიების დაავადება იწვევს 1.5 მილიონ მიოკარდიუმის ინფარქტს ყოველწლიურად და აქედან ერთი მესამედი ფატალურია. კორონარული არტერიების დაავადების ეკონომიკური ტვირთი აშშ-ში შეადგენს \$60 მილიარდს.

ინსრ-თან დაკავშირებული სიკვდილობა და ავადობა მოიცავს აგრეთვე შემდეგს :


- პოლიკისტოზური საკვერცხეების სინდრომი – უშვილობა, მენსტრუალური დარღვევები, ანდროგენების სიჭარბე
- იშვიათი დაავადებები – ლიპოდისტროფიები (ღვიძლის ციროზი არის ავადობის და სიკვდილობის ძირითადი მიზეზი).

1.7 აპო B და აპო AI-ს ფიზიოლოგიური და პათოფიზიოლოგიური ასპექტები და კარდიოვასკულური რისკი


1.7.1 აპოB-ს პროდუქცია, ცირკულაცია და განაწილება

აპო B-100 პროდუცირდება ღვიძლში და აპო B-48 ნაწლავში (304, 305). აპო B-100 არის ძირითადი პროტეინი პლაზმაში აპო B-48-თან შედარებით, რომელიც გეხვდება პლაზმაში უმნიშვნელო რაოდენობით პოსტპრანდიულ მდგომარეობაშიც კი. ძირითადად, აპოB-ს 90%-ზე მეტი სისხლში გეხვდება დსლ-ში. აპოB ასევე გეხვდება ძდსლ-ში, საშუალო სიმკვრივის ლიპოპროტეინში (სსლ-ში), დიდ და მცირე დსლ-ში, თითო მოლეკულით ყოველ ზემოთჩამოთვლილ ნაწილაკში (306) (სურათები 4-5).

აღსანიშნავია, რომ აპოB არ გეხვდება მსლ-ის ნაწილაკებზე. გამომდინარე აქედან, აპო B ასახავს პოტენციურად ათეროგული ნაწილაკების საერთო რაოდენობას. ეს პრინციპულად განასხვავებს მას არა-მსლ-გან რომელიც ასახავს ქოლესტერინის საერთო მასას. აპო B ხელს უწყობს ქოლესტერინის და ტრიგლიცერიდების სტაბილობას და ტრანსპორტს პლაზმაში (307). აპო B-მ შეიძლება მოახდინოს ათეროსკლეროზული პროცესის პროვოცირება, რადგანაც ის შეიძლება “ჩაეჭედოს” კორონარული არტერიების კედელში (305, 308, 309), სადაც ის გადის მოდიფიცირებას, ოქსიდაციას, გლიკოზირებას და შესაბამისად შეაქვს წვლილი ათეროსკლეროზული ფოლაქის ჩამოყალიბებაში. ამ პროცესში ის დსლ-თან ერთად ახდენს არტერიული კედლის ინფილტრაციას. ოქსიდაციის პროცესში მონაწილეობენ ბევრი ფაქტორები, როგორცაა მოლეკულების ადჰეზია, ციტოკინები, ზრდის ფაქტორები, რაც იწვევს ანთებას და ფოლაქის ზრდას სანამ არ მოხდება ამ პროცესების ნეიტრალიზება მსლ-თან შებოჭილ აპო A-I-ს მიერ.



სურათი 4. აპოლიპოპროტეინი B ბირთვში მოთავსებულ ნეიტრალურ ლიპიდებთან.



სურათი 5. აპოB და აპო A-I-ის ტრანსპორტის სქემატური განსაზღვრა

TG – ტრიგლიცერიდი; C – ქოლესტერინი; აპოB – აპოლიპოპროტეინი B;

აპოA-I – აპოლიპოპროტეინი A-I; მსღ – მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი;

ძღსღ – ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; სსღ – საშუალო სიმკვრივის

ლიპოპროტეინი; დსღ – დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი; (ადაპტირებული *Walldius G,*

Jungner I. The apoB/apoA-I ratio: a strong, new risk factor for cardiovascular disease and a target for lipid-lowering therapy- a review of the evidence. Journal of Internal Medicine.2006; 259:493-519-დან).

როგორც სურათიდან ჩანს, ყოველ ძღსღ-ის, სსღ-ის, დიდი დსღ-ის და მცირე

დსღ-ის ნაწილაკს აქვს ერთი აპო B-ს მოლეკულა. გამომდინარე აქედან, აპო B-ს

საერთო რაოდენობა წარმოადგენს პოტენციურად ათეროგენული ნაწილაკების

საერთო რაოდენობას. აპო A-I წარმოადგენს მსღ-ს ნაწილაკების მთავარ

პროტეინს და ის პასუხისმგებელია 'ქოლესტერინის საპირისპირო ტრანსპორტის'

ინიციატორში. ბალანსი აპო-B და აპო-A-I-ს შორის, ანუ აპო-B/აპო-A-I

თანაფარდობა, კარდიოვასკულური რისკის მაჩვენებელია. რაც მეტია

თანაფარდობა, მით მეტია რისკი.

1.7.2 აპო B-ს პლაზმური დონე და თერაპიის სამიზნე ციფრები

აპო B-ს პლაზმური დონე მერყეობს 0.2-დან 3 გ/ლ-მდე. ყველაზე მაღალი დონე აღენიშნებათ პაციენტებს თანდაყოლილი ჰიპერქოლესტერინემიით (310). ანტილიპიდური მკურნალობისას რეკომენდებულია სამიზნე ციფრი < 0.90 გ/ლ საშუალო რისკის მქონე პაციენტთათვის და < 0.80 გ/ლ მაღალი რისკის პაციენტთათვის.

1.7.3 აპო B და კარდიოვასკულური რისკი

ერთერთი პირველი პუბლიკაცია რომელიც შეეხებოდა აპო B და აპო A-ს როლს მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარებაში წარმოდგენილი იყო Avogaro-ს მიერ ჯერ კიდევ 1978 წელს (311). მას შემდეგ გამოქვეყნდა მრავალი პუბლიკაცია რომლებიც შეეხებოდა აპო B-ს როლს ათეროგენეზის პროცესში და მის გართულებებში, როგორცაა მიოკარდიუმის ინფარქტი (312-314). მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რამოდენიმე კვლევაში აპო B-ს აღმოაჩნდა უფრო ძლიერი კავშირი კარდიოვასკულურ რისკთან ვიდრე დსლ-ს (307, 315-320).

აპო B უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ინსრ-თან და მეტს-ის კომპონენტებთან ვიდრე დსლ ან არა-მსლ (304, 321, 322). შესაბამისად, პაციენტებში ჰიპერტრიგლიცერემიით და დსლ-ის ნორმალური ან დაბალი დონით (მაგ. მეტს-ით დაავადებულ პაციენტებში), და პაციენტებში მანტიფესტირებული შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით, აპო B აღმოჩნდა უმჯობესი ვიდრე არა-მსლ ვასკულური რისკის პრედიქციის თვალსაზრისით.

1.7.4 აპო A-I-ს ფიზიოლოგიური და პათოფიზიოლოგიური ასპექტები

არსებობენ მსლ ნაწილაკების მრავალი ქვეჯგუფები სხვადასხვა ლიპიდების და აპო-ს შემადგენლობით (304, 305, 323). აპო AI-ს გარდა, არსებობენ სხვა აპოლიპოპროტეინებიც, როგორცაა აპო A-II, აპო A-III, აპო C-III, აპო D და აპო M. აპო A-I არის მთავარი პროტეინი მსლ-ში და ის წარმოადგენს მსლ-ის მეტაბოლიზმს რადგანაც ის გვხვდება თითქმის ექსკლუზიურად მსლ-ს ნაწილაკებში. მსლ-ის გაზომვით ჩვენ ვსაზღვრავთ

ქოლესტერინის “უკუტრანსპორტს”, მსლ-ის მეტაბოლიზმის მთავარ დაცვით ასპექტს.

აპო A-I ახდენს ქოლესტერინის “უკუტრანსპორტის” პროცესის ინიცირებას პერიფერიულ ქსოვილებში. ამის გარდა, აპო A-I-ს აქვს სხვა ფუნქციებიც, მაგ. ანტიანთებითი, ანტიოქსიდაციური, ანტიინფექციური, ანტიპროტეაზული, ანტიაპოპტოზური, და ანტითრომბოზული (304). გარდა ამისა, მას შეუძლია აზოტის ჟანგის პროდუქციის ინიცირება ენდოთელიუმის მიერ. გამომდინარე აქედან, აპო A-I-ის დონის გაზომვით შესაძლებელია დამატებითი დაცვითი ეფექტების განსაზღვრა გარდა იმისა რაც მოცემულია მსლ დონით.

1.7.5 აპო A-I-ს პლაზმური დონე და თერაპიის სამიზნე ციფრები

აპო A-I-ს პლაზმური დონე მერყეობს 0.1-დან 3 გ/ლ-მდე. ნორმატიული მაჩვენებლები გამოქვეყნდა ჯერ კიდევ 1996 წელს Contois et al. – მიერ (324). ახასიათებს მცირე ვარიაცია საკვების მიღებასთან მიმართებაში (325). ნორმაში ქალებს აქვთ აპო A-I-ს 0.1 - 0.3 გ/ლ-ით მეტი კონცენტრაცია ვიდრე მამაკაცებს, ისევე როგორც მსლ-ის. თუმცა ძალიან ცოტაა პუბლიკაცია იმის შესახებ თუ რა უნდა ჩაითვალოს ნორმალურ მაჩვენებლად. სავარაუდოდ, ეს მაჩვენებელი უნდა იყოს ახლოს 1 გ/ლ-თან ან ოდნავ მაღლა. დღემდე არ არსებობს მყარი მტკიცებულება იმის შესახებ თუ რა ციფრების შემდეგ იმატებს კარდიოვასკულური რისკი. ასევე არ არსებობს მყარი მტკიცებულება სამიზნე ციფრების შესახებ.

1.7.6 აპო A-I და კარდიოვასკულური რისკი

ჯერ კიდევ 1978-79 წლებში Avogaro et al. კვლევით აჩვენეს რომ აპო A-I ისეთივე სანდო მაჩვენებელია მიოკარდიუმის ინფარქტის პრედიქციის თვალსზრისით როგორც სხვა ლიპიდები 50 წლამდე ასაკში (311, 326), მაგრამ 60 წლის ზევით აპო A-I იყო უკეთესი პრედიქტორი. მრავალმა კვლევამ აჩვენა შებრუნებული დამოკიდებულება მიოკარდიუმი ინფარქტსა და აპო A-I-ს შორის (304, 315, 327-330).

ეპიკ-ნორფოლკის კვლევამ (331) აჩვენა რომ მსლ-ის მაღალი დონე მისი ნაწილაკების მომატებული ზომების გამო ასოცირებულია მომატებულ და

არა შემცირებულ კარდიოვასკულურ რისკთან. აპო A-I-ს მაღალი კონცენტრაცია კი არ იყო ასოცირებული მომატებულ რისკთან. გაკეთდა დასკვნა, რომ აპო A-I-ს ასოცირება კარდიოვასკულურ რისკთან დამოუკიდებელია მსლ-ის ზომისაგან. გამოითქვა ვარაუდი რომ დიდი ზომის მსლ-ის კარდიოპროტექციული როლი დაკავშირებულია უფრო მჭიდროდ აპო A-I-ს კონცენტრაციასთან ვიდრე უშუალოდ მსლ-ს ზომასთან.

1.8 აპოB, აპოA-I, აპოB / აპოA-I თანაფარდობის გამოყენება ტრადიციული ლიპიდების საპირისპიროდ: მეთოდოლოგიური დადებითი და უარყოფითი მხარეები

1.8.1 მეთოდოლოგიური პრობლემები სხვადასხვა ლიპიდებთან მიმართებაში

დსლ-ს განსაზღვრის ყველაზე ხშირი მეთოდი მსოფლიოში არის ფრიდვალდის ფორმულის გამოყენება (332). თუმცა შეცდომები ხშირია და დაკავშირებულია მეთოდოლოგიურ პრობლემებთან. მაგ., ფრიდვალდის ფორმულა $დსლ = სქ - მსლ - ტრიგ/5$ არ არის სარწმუნო როდესაც ტრიგლიცერიდების დონე აღემატება 3.5 – 4 მმოლ/ლ, პაციენტებში მესამე ტიპის ჰიპერლიპოპროტეინემიით, ქილომიკრონემიით, ან კვების შემდეგ აღებულ სისხლში (333, 334). შედეგი შეიძლება იყოს ცრუდადებითი (2–17%-ს ფარგლებში) ან ცრუუარყოფითი (12–15%-ს ფარგლებში) თუ ტრიგლიცერიდების დონე არის ძალიან დაბალი ან > 4 მმოლ/ლ (350 მგ/დლ). ამით შეიძლება შეიქმნას პრობლემა როგორც კლინიცისტისთვის ასევე პაციენტისთვის, რადგანაც პაციენტი შეიძლება მოხდეს შეცდომით ან მაღალი ან დაბალი რისკის მქონე ჯგუფში. შეიქმნა ახალი ეგრეთ წოდებული დსლ-ს განსაზღვრის პირდაპირი მეთოდები, რომლებიც არიან ჰომოგენური მეთოდები და არ საჭიროებენ წინასწარი სეპარაციის ეტაპს (ულტრაცენტრიფუგირება) ან მანუალურ მანიპულაციას დსლ-ს განსაზღვრისთვის (334, 335). თუმცა ისინი ჯერ-ჯერობით არ არიან საერთაშორისო მასშტაბით სტანდარტიზებული, როგორც აპოლიპოპროტეინები.

პრაქტიკულ პრობლემას მსლ-ის განსაზღვრისას წარმოადგენს შედეგების ცუდი კორელაცია სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით; და ეს კორელაცია უფრო სუსტია ვიდრე დსლ-ის განსაზღვრისას (334, 336). შესაბამისად, პრობლემებია არა-მსლ-ის განსაზღვრისას (ძირითადად მსლ-ის განსაზღვრისას დაშვებული შეცდომების გამო).

არა-მსლ-ს განსაზღვრას გააჩნია ის უპირატესობა დსლ-თან (ფრიდვალდის ფორმულით) რომ ის არ საჭიროებს უზმოდ ყოფნას, რაც აუცილებელია ტრიგლიცერიდებისთვის (337). გარდა ამისა, არა-მსლ შეიცავს ქოლესტერინს

ყველა ათეროგენული ფრაქციიდან (ძღსლ, სსლ, და ღსლ სხვადასხვა ფორმები) და განსაზღვრავს ქოლესტერინის საერთო რაოდენობას.

1.8.2 აპოლიპოპროტეინების განსაზღვრის მეთოდოლოგიური უპირატესობები: (323, 336, 338)

- აპოB და აპოA-I-ს განსაზღვრის მეთოდები სტანდარტიზებულია საერთაშორისო მასშტაბით
- აპოB და აპოA-I-ს განსაზღვრის მეთოდოლოგიური ცდომილება შეადგენს < 5%
- უზმოდ ყოფნა არ არის აუცილებელი
- ტრიგლიცერიდების მაღალი დონე არ მოქმედებს შედეგზე
- გაყინული მასალა გამოყენებადია
- აპოB/აპოA-I თანაფარდობა: არ არის ძველი და ახალი სისტემების გამოყენების საჭიროება (მმლ/ლ თუ მგ/დლ)
- აპოB/აპოA-I თანაფარდობა ასახავს ათეროგენული და ანთიათეროგენული ლიპოპროტეინების დისბალანსთან ასოცირებულ რისკს

1.8.3 აპოB/აპოA-I თანაფარდობა ვასკულურ დაავადებებთან, მეტაბოლურ სინდრომთან და შაქრიან დიაბეტთან მიმართებაში

ბევრი კვლევა მიუთითებს რომ აპოB/აპოA-I თანაფარდობა არის უფრო მჭიდროდ დაკავშირებული ათეროსკლეროზთან ვიდრე ტრადიციული ლიპიდები.

ისეთმა კვლევებმა როგორცაა, AMORIS (304, 339, 340), INTERHEART (341), EPIC-Norfolk study (331, 342) და ULSAM (343) აჩვენა, რომ აპოB/apoA-I თანაფარდობა არის მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკის ძლიერი პრედიქტორი.

Andersson et al. (344) (უქსალას მოზრდილების სისხლძარღვების პროსპექტული კვლევა – PIVUS) გამოიკვლიეს კარტოტიდების ათეროსკლეროზული ფოლაქის გაზომვა ულტრაბგერით. ფოლაქის არსებობა განისაზღვრა როგორც ინტიმა მედიის სისქის გაზრდა მინიმუმ 50%-ით. დადგინდა, რომ

პაციენტებს ფოლაქით აღენიშნებოდა აპოB/აპოA-I თანაფარდობის მნიშვნელოვანი ზრდა.

Schmidt et al. (345) ათეროსკლეროზისა და ინსულინრეზისტენტობის კვლევით (AIR study) დააგინეს რომ ყველა ბაზისურ ცვლადებთან შედარებით მხოლოდ აპოB/აპოA-I თანაფარდობა და შრატის ინსულინი იყო მნიშვნელოვნად დაკავშირებული ინტიმა მედია სისქის პროგრესირების ტემპთან, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე რომ აპოB/აპოA-I თანაფარდობა არის ათეროსკლეროზის პროგრესირების ტემპის მნიშვნელოვანი პრედიქტორი კლინიკურად ჯანმრთელი საშუალო ასაკის მამაკაცებში მეთვალყურეობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

Junyent et al. (346) შეამოწმეს კაროტიდების ინტიმა მედია სისქე და ათეროსკლეროზული ფოლაქის არსებობა კლასიკურ რისკ ფაქტორებთან და აპოB და აპოA-I-თან მიმართებაში 131 ჯანმრთელ პაციენტში ოჯახური ჰიპერქოლესტერინემიით და 190 პაციენტთან საკონტროლო ჯგუფში (ასაკისა და სქესის შესაბამისობით). მულტიცვლადურმა რეგრესულმა ანალიზმა ყველა რისკ ფაქტორის ჩათვლით აჩვენა, რომ კაროტიდების ინტიმა მედია სისქესთან დამოუკიდებლად ასოცირებულები იყვნენ ასაკი, აპოB/აპოA-I თანაფარდობა, სისტოლური არტერიული წნევა, უზმოდ გლუკოზა, კარდიოვასკულური დაავადების ოჯახური ანამნეზი და სქ/მსლ თანაფარდობა. მათ შორის ყველაზე ძლიერი დეტერმინანტი იყო აპოB/აპოA-I თანაფარდობა.

როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში სიმსუქნე, განსაზღვრული სმი-ით ან წელის გარშემოწერილობით, პირდაპირ დამოკიდებული იყო აპოB და აპოB/აპოA-I თანაფარდობასთან და უკუდამოკიდებული აპოA-I-თან (347-349). ერთერთ შვედურ კვლევაში Wallenfeldt et al. (350) შეისწავლეს დამოკიდებულება ლიპოპროტეინების კონცენტრაციის დარღვევებს შორის 58 წლის 338 ჯანმრთელ მამაკაცში მეტაბოლური სინდრომის მანიფესტაციით. მათ ვისაც ჰქონდა აპოB/აპოA-I თანაფარდობა > 0.74 აღენიშნებოდათ, მიუხედავად არტერიული წნევისა და თამბაქოს მოხმარებისა, კაროტიდების ინტიმა მედია სისქის პროგრესირება 3 წლის მანძილზე. ნათელი გახდა, რომ კაროტიდების ინტიმა მედია სისქის განსაზღვრა არის ათეროსკლეროზის დინამიური პროგრესირების არაინვაზიური, მარტივი, და მგრძნობიარე

მეთოდი; აპოB/აპოA-I თანაფარდობა კი არის არტერიების კედელში ამ ათეროსკლეროზული ცვლილებების ძლიერი პრედიქტორი. აპოB/აპოA-I თანაფარდობა > 0.74 -ზე იპყრობს ექიმის ყურადღებას ანტილიპიდური მკურნალობის დაწყების თაობაზე.

ერთერთ იაპონურ კვლევაში (351), შეადარეს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით დაავადებული 66 პაციენტი კაროტიდული ათეროსკლეროზით საკონტროლო ჯგუფთან (66 პაციენტი კაროტიდული ათეროსკლეროზის გარეშე). დადგინდა რომ აპოB და ინსულინრეზისტენტობის კომბინაცია არის კაროტიდული ათეროსკლეროზის უპირატესი მარკერი დსლ-თან შედარებით ამ კატეგორიის პაციენტებში.

Kim et al (352) შეისწავლეს 757 პაციენტი ინულტით. აღმოჩნდა, რომ კაროტიდების ასიმპტომური სტენოზი, $> 50\%$ და $> 70\%$ -ზე, აღენიშნებოდა პაციენტთა 26.4% და 8.6%-ს შესაბამისად. მულტიცვლადური რეგრესიული ანალიზით დადგინდა, რომ აპოB/აპოA-I თანაფარდობა და ჰომოცისტეინი კაროტიდული სტენოზის დამოუკიდებელი პრედიქტორები იყო.

კვლევებმა აჩვენეს, რომ ინსრ-ბა მნიშვნელოვნად იყო ასოცირებული აპოB/აპოA-I თანაფარდობასთან, მეტაბოლურ სინდრომთან და ლიპიდურ მაჩვენებლებთან.

